პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეხუთე.

# კომუნისტი

ს. ა. ს. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

**რედაქცია**
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

**მთავარი კანტორა**
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

## დ ღ ი უ რ ი

მთელ ბოლგარეთში დაიწყო საყოველთაო-გაფიცვა. მთავრობამ შემოიღო სამხედრო საველე სასამართლოები.

ბულგარეთში დაიწყო აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დარბეული პროფკავშირების აღდგენა.

გერმანიის კაბინეტი გადადგა; ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ისევ შტრეზემანს.

გერმანიაში მდგომარეობა კატასტროფიულია; მუშა-მოსამსახურენი ჯამაგირს ღებულობენ ქაღალდის მარკით, რომლითაც არ შეუძლიათ არაფრის შეძენა.

№ 256 სამშაბათი, 6 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000 მან. № 256

ოთხშაბათს, 8 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ტფ კომიტეტის შენობაში მოწვეულია საქ კომ პარტიის

## ტფილისის კომიტეტის პლენუმი.

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ტფ. კომ. მდივანი რუბენი.

## ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავის დღესასწაულების აღსანიშნავათ

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი აცხადებს აუცილებელ შესასრულებლად შემდეგს:

1) 7 ნოემბერს ყველა საბჭოთა, პარტიულ და საზოგადოებრივი დაწესებულებანი და ორგანიზაციები, და აგრეთვე როგორც საბჭოთა, ისე კერძო სახლები უნდა იქნეს სადღესასწაულოთ მორთული წითელი დროშებით, ხალიჩებით და გირლიანდებით.

2) ღამით 6-დან—7 ნოემბერს და 7-დან 8—ნოემბერს ყველა სახლების ბინები, რომლებიც ფასადით გამოდიან ქუჩებში, მთელი ღამე იყოს განათებული.

3) საბჭოთა და პარტიული დაწესებულებები უნდა იქმნენ გაჩირაღდნებული ელექტრონით.

4) მილიციას ევალება თვალ-ყური ადევნოს ამ განკარგულების სისრულეში მოყვანას.

ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარე **ხუხიშვილი.**

საქმეთა მმართველი, პრეზიდიუმის წევრი **გ. მეხხი.** 729 2—2.

## კოალიციის კრიზისი გერმანიაში

ამბები გერმანიაში ვითარდებიან ელვისებური სისწრაფით.

ყურადღების ცენტრს დღეს წარმოადგენს საიმპერიო მთავრობის, „დიდი კოალიციის" ხელახალი კრიზისი. დღევანდელი კრიზისი გამოიწვია ისევ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლების გასვლამ მთავრობიდან.

როდესაც გასულ თვეში სტინესის პარტიის მემარჯვენე ფრთამ წარუდგინა მთავრობას ულტიმატუმი ჰილფერდინგის გადაყენების, მისი საფინანსო-საგადასახადო ღონისძიებათა გაუქმების, მთავრობისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭების, მათ შორის რვა საათის სამუშაო დროის გადიდების უფლების და სხ.,—სოციალ-დემოკრატია გავიდა მთავრობიდან და „დიდი კოალიცია" ჰაერში გამოკიდებული დარჩა.

მაგრამ გავიდა ან, უკეთ რომ ვსთქვათ, გაძევებულ იქნა იმიტომ, რომ წამოჩოქებულიყო ბურჟუაზიის წინაშე, მიეღო მისი მთავარი მოთხოვნები, კვლავ შესულიყო კაბინეტში უკვე შემცირებული რაოდენობით და ერთხელ კიდევ ეხსნა კოალიცია, ე. ი. ეთანამშრომლნა ბურჟუაზიულ პარტიებთან, როგორც მათ ყურ-მოჭრილ მონას და ხელი შეეწყო მათი ფაშისტური ძალების მობილიზაციისათვის.

ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. პირველი კოალიციის აღდგენიდან, ფაშიზმი საგრძნობლად გაძლიერდა მთელს გერმანიაში, სოციალ-დემოკრატიის აქტიური დახმარებით თუ მის მიერ პასიურობის გამოჩენით.

სხვა მრავალ ფაქტებს რომ თავი დავანებოთ, თვალ წინ გვაქვს სოც.-დემოკრატ ებერტის ბრძანებით საქსონიის წითელი მთავრობის გარეკვა.

გერმანელ მენშევიკების ზედაწრეების ასეთი მოღალატეობა დღითიდღე ზრდის უკმაყოფილებას და ოპოზიციონურ განწყობილებას მათ მიმდევარ მასებში. მაგ., დღეს იბეჭდება ცნობა, რომ სოციალ-დემოკრატიის ბრაუნშვეიგის საოლქო კომიტეტმა გაილაშქრა ცენტრალური კომიტეტის კოალიციონური პოლიტიკის წინააღმდეგ; ის მოითხოვს საგანგებო პარტეიტაგის მოწვევას პარტიის წევრთა უმრავლესობის ნებისყოფის გამოსარკვევად.

უფრო ოპოზიციონურადაა განწყობილი თავის ლიდერებისადმი ფართე სოციალ-დემოკრატიული მასა.

ამ მასიდან სრული გარიყვის შიში აიძულებს მათ გარეგნულად მაინც იცვალონ ფრონტი და უფრო რადიკალურ მოქმედებას თუ არა, ფრაზეოლოგიას და მოთხოვნებს მაინც მიმართონ. და მათაც წაუყენეს მთავრობას მოთხოვნა საალყო და განსაკუთრებული წესების გაუქმების ფაშისტური ბავარიის წინააღმდეგ გადაჭრილი ზომების მიღების შესახებ და სხ.

შტრეზემანმა, რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატების „ულტიმატუმი" არ დააკმაყოფილა, და ისინიც იძულებული გახდნენ მთავრობიდან გასულიყვნენ.

შტრეზემანი განმარტავს, რომ მთავრობას არ შეეძლო ამ ულტიმატუმის მიღება, ვინაიდან ეს შექმნიდა შთაბეჭდილებას, თითქო ის ემორჩილება მარტო ერთი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ნებისყოფას და დაადასტურებდა იმ აზრს, რომ კაბინეტი ემორჩილება მარქსისტების გავლენას. ამასთან ის დასძენს, რომ საალყო და სამხედრო მდგომარეობის გაუქმებას რეიხსვერი ჩასთვლიდა მისადმი უნდობლობის გამოცხადებად.

სავსებით მართალია, რომ შტრეზემანს თავისთვის სავალდებულოთ არ მიაჩნია სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნების დაკმაყოფილება, და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ის არ ეთანხმება მათ, არამედ იმიტომაც, რომ ამ ვაჟბატონების მოთხოვნა მხოლოდ ცალიერი სიტყვაა, რომელსაც არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყვება. შტრეზემანმა კარგად იცის, რომ სოციალ-დემოკრატია თავის მოთხოვნის განსახორციელებლად არავითარ ძალას არ მიმართავს.

შტრეზემანისათვის სავალდებულოა ულტიმატუმები მხოლოდ მემარჯვენე ჯგუფების, რომლების დირექტივებით ის მოქმედებს.

ისიც მართალია, რომ მთელი ძალაუფლება დღეს ფაქტიურად რეიხსვერის ხელშია, და შტრეზემანიც მას უფრო უწევს ანგარიშს, ვინემ მოლაყბე სოციალ-დემოკრატებს.

რა მდგომარეობა შეიქმნება გერმანიაში, რით გათავდება მთავრობის დღევანდელი კრიზისი?

როგორც პირველი კოალიციის კრიზისის დროს, ისე ეხლაც ებერტმა კაბინეტის რეორგანიზაცია მიანდო ისევ შტრეზემანს. ეს გარემოება სიმპტომატიურია. შტრეზემანი არის კაცი გარდამავალი პერიოდის. ის გზის გამკაფველია ფაშიზმის სრული გამარჯვებისათვის. ეს პერიოდი უახლოვდება აღსასრულს, და ახლო მომავალში უნდა დამყარდეს რომელიმე დიქტატურა, დიქტატურა ფაშისტური, ან პროლეტარული. ებერტს და ე. წ. შუათანა, დემოკრატიულ წრეებს ეშინიათ როგორც ერთის, ისე მეორის, ამიტომ ებღაუჭებიან დღევანდელ მდგომარეობას, ცდილობენ მის გახანგრძლივებას.

მაგრამ მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, რომ ეს შეუძლებელია. ან ერთი უკიდურესობა, ან მეორე, საბჭოთა ხელისუფლება, ან ფაშიზმი, —ასე დგას საკითხი. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

ყველას ესმის ეს, ყველა ემზადება ამისათვის.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ბავარიის ფაშისტურმა მთავრობამ მიმართა შტრეზემანს მოთხოვნით საიმპერიო დიქტატურის შექმნის შესახებ, ბავარიის მზგავსად.

ამავე დროს ბავარიის ფაშისტური ძალები თავს იყრიან ტიურინგიის საზღვარზე, რათა გაანადგურონ ეს წითელი რესპუბლიკა.

კომუნისტური პარტიის ამოცანა ასეთ პირობებში გარკვეულია: მშრომელ მასების მობილიზაცია რევოლიუციონურ ბრძოლისათვის, დაუზოგველი მხილება სოციალ-დემოკრატიის მოღალატეობის.

რანაირი იქნება თვით სოციალ-დემოკრატიის პოზიცია?

შტრეზემანი, შეიძლება, ისევ შეეცდება მისი წარმომადგენლების შეყვანას მთავრობაში ამა თუ იმ სიტყვიერითი დათმობის გზით.

არ არის აცილებული შესაძლებლობა, რომ მენშევიკები კვლავ შევლენ კაბინეტში, როგორც ეს წინედ მოხდა.

თუნდაც რომ არ შევიდნენ ისინი და დარჩნენ ოპოზიციაში, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ექნება. ჩვენ ვიცით ფასი მათი „ოპოზიციის". როგორც ყოველთვის, ეს იქნება ოპოზიცია „მისი უდიდებულესობის", რათა სხვა ფორმით, „ოპოზიციის" გზით ისევ გააგრძელონ ამ „უდიდებულესობის" ე. ი. არსებული წყობილების, გერმანიის ბურჟუაზიის ბატონობის დაცვა. ასეთია მისი ისტორიული მისია.

მაგრამ მუშათა კლასის მოტყუილება მენშევიკური ლათაიებით ეხლა უფრო ძნელია, ვინემ როდისმე.

ის ირაზმება კომუნისტური პარტიის გარშემო, ბურჟუაზიისა და მის დამქაშ სოციალ-დემოკრატიულ ლიდერებისათვის საბოლოო ბრძოლის გასამართავად.

## ქართული კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის დაშლა

დღეს ჩვენ გაზეთებში იბეჭდება გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტების მიმართვა საქართველოს საბჭოთა მთავრობისადმი. მიმართვას ხელს აწერენ ყოფილი მენშევიკები და უპარტიო სტუდენტები, რომლებიც თავის დროზე წავიდნენ გერმანიაში ცოდნის მისაღებათ და შეადგენდნენ „გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტთა კავშირს".

თითქმის მთელი კავშირი მტრულათ იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ასეთ მტრულ განწყობილებას აღვივებდა და ამაგრებდა სტუდენტობაში საქართველოს ყოფ. მენშევიკური მთავრობა და მთელი ის ქართული თეთრგვარდიელი ემიგრაცია, რომელიც თავს იყრის დღესაც ამ „მთავრობის" ირგვლივ უცხოეთში და კერძოთ გერმანიაში. ის მტრობა საქართველოს რევოლიუციონური მთავრობის მიმართ, ღალატი ქართველი მშრომელების, ლაქიობა უცხოეთის იმპერიალისტების მიმართ, რომელიც ასე ახასიათებს მენშევიზმის დღეს უჯარო ბელადებს—ყოველივე ეს სურდათ ამ უკანასკნელებს ჩაენერგათ ქართველი ახალგაზრდებისათვის. და უნდა ითქვას, რომ ამ მიზანს კიდევაც მიაღწიეს ერთ დროს ამ ვაჟბატონებმა. ყველას ახსოვს კერძოთ გერმანიის ქართველ სტუდენტთა კავშირის გამოსვლები საბჭოთა საქართველოს და მისი მთავრობის წინააღმდეგ. ამ გამოსვლების ერთად ერთი მიზანი იყო ჩირქი მოეცხოთ ახალი რეჟიმისათვის საქართველოში, დაესახათ საბჭოთა მთავრობა მოძალადეებათ, გაევრცელებიათ უცხოეთში ყველა კონტრ-რევოლიუციონერების ტიპიური შეხედულება ოქტომბრის რევოლიუციაზე, საბჭოთა რეჟიმზე და ხელისუფლებაზე. თეთრგვარდიელთა საერთო ყიჟინაში ისმოდა ქართველი სტუდენტების ხმაც ახალი საქართველოს წინააღმდეგ. სისტემატიურათ ფაქტების დამახინჯება საქართველოს სინამდვილიდან, ტყუილები, ინსინუაციები, ჭორები და კიდევ ჭორები—ამ გზით სურდათ მათ დაემალათ უცხოეთისთვის ჭეშმარიტი ბუნება საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში არსებული წესწყობილებისა. მაგრამ ასეთ ტყუილებზე აშენებული შენობა ერთ დღეს უნდა ჩამონგრეულიყო, ნაცრათ ქცეულიყო და ეს ასეც მოხდა დღეს.

ღირებულებათა იმ გარდაფასებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, სოციალ-დემოკრატიული და ყველა ანტისაბჭოთა პარტიების დაშლას, დაბოლოს საბჭოთა რეჟიმის გამტკიცებას—თვალი უნდა აეხილა თეთრი ემიგრაციის გავლენის ქვეშ მოხვედრილ ქართველ ახალგაზრდებისათვისაც უცხოეთში და განსაკუთრებით მათთვის, ვინც თავისი მდგომარეობით ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ოჯახთან ახლოს იყვნენ.

ამნაირათ შეუდგა წყალი ეგრედ წოდებულ „გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტთა კავშირს". ეს კავშირი დაჰკმეს და დაჰკმეს კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაცია და მისი მეთაურები ამ კავშირის წევრებმა, თვით მენშევიკებმა, რომელთა უმრავლესობამ უპარტიოებთან ერთად მოაწყვეს ახალი გაერთიანება სტუდენტებისა. მათ შექმნეს ახალი კავშირი, „საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირი", რომელიც დაუპირისპირდა თეთრგვარდიელ სტუდენტთა გაერთიანებას.

ამნაირათ უცხოეთშიც, იქ, სადაც მენშევიკები სარგებლობდნენ უდავო იდეურ-პოლიტიკური გავლენით ახალგაზრდობაზე, იქაც დაუსხლტათ ფეხი მენშევიკებს, იქაც გამოეცალათ მათ დასაყრდნობი ბაზა ინტელიგენციაში. ამნაირათ მენშევიზმის დაშლის პროცესი გავრცელდა უცხოეთშიც და ჩვენ ყოველი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის გაფართოვდება და კიდევ უფრო გაღრმავდება.

ჩვენ მივესალმებით „საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირს" და მის მესვეურებს. ვუსურვებთ მათ წარმატებით დაეთავებინოსთ დაწყებული საქმე, სწავლა-განათლების მიღება, რაშიც მათ დახმარებას გაუწევს ჩვენი მთავრობა და დაბრუნებოდნენ ქართველ მშრომელ ხალხს მისი მიზნებისათვის დაუღალავ მუშაკებათ და მებრძოლებათ.

## წერილები ბერლინიდან

### პროვოკაცია სისხლის ღვრის მიზნით

ძველი ტაქტიკა რეაქციის, რომელმაც დაჰკარგა ნიადაგი, ასეთი არის: ნაადრევათ გამოიწვიოს რევოლიუცია და დაახრჩოს ის უფრო ადრე, ვიდრე მომწიფდებოდეს. მთელი გერმანიის ბურჟუაზიის ყველა ღონისძიებები აქეთკენ არის მიქცეული. ამ მიზნის განხორციელებაში გერმანიის ბურჟუაზია არაჩვეულებრივ ერთსულოვნებას იჩენს.

ბავარიაში როიალისტი დიქტატორი ფონ-კარი კომუნისტებს და მუშათა მოძრაობას კანონს გარეშე აცხადებს, სპობს რესპუბლიკანურ კონსტიტუციას, იძულებულს ხდის გერმანიის საიმპერიო მთავრობას „ანგარიში გაუწიოს" „მომხდარ ფაქტს".

რურში და რეინლანდში მსხვილი მრეწველები, ისინიც კი, რომლებმაც ჯიბეები გაისქელეს პასიურ წინააღმდეგობაზე, საიმპერიო მთავრობისაგან მოითხოვენ „ზარალის ანაზღაურებას" და აცხადებენ, რომ მუშებს ვერ მისცემენ შრომის ხელფასს. მაგრამ, ვინაიდან ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ და უთანხმდებიან ფრანგებს, მათი განცხადება ამტკიცებს, რომ ისინი ლოკაუტს აცხადებენ. ლოკაუტს უცხადებენ მილიონზე მეტ მშიერ-ტიტველ, სასოწარკვეთილ მუშებს, რომლებიც მზად არიან, ისე, როგორც მათი ფრანგი წინაპრები წარსულ საუკუნეში „ბრძოლაში დალიონ სული", რადგან მათ უკვე არ აქვთ საშუალება, რომ „იცოცხლონ და იმუშაონ".

ბერლინში შტრეზემანის მთავრობამ საბოლოოთ შეიმუშავა სამუშაო დღის ხანგრძლივობის პროექტი: 8 საათის სამუშაო დღე მაღაროებში და 10 საათი მრეწველობის სხვა დარგებში. 17 ოქტომბრის ოფიციალურ განცხადებაში კი შტრეზემანი ამბობდა, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აიძულოს ყველა პატივისცემით მოეპყრან კონსტიტუციას და საალყო წესების კანონებს... წითელ საქსონიაში, მაგრამ არა ბავარიაში!

წითელ საქსონიაში ყოველ წამს შესაძლოა ალაპარაკდენ ტყვიისმფრქვევლები და ყუმბარები. საქსონიასთან კონფლიქტი განზრახ სურთ, ეძებენ მას. გენერალი მიულერი განზრახ ქმნის ამ კონფლიქტს ბერლინის მთავრობის დახმარებით.

პრესაში აშკარა მემარჯვენეთა კამპანია შტრეზემანის წინააღმდეგ მიდუმდა ისე, როგორც მთავრობის გაზეთების კამპანია სტინესის წინააღმდეგ. იქმნება მსხვილი მრეწველების, ფაშისტების და უკანასკნელი დემოკრატიული მთავრობის „წმინდა კავშირი" ბურჟუაზიული წყობილების გადასარჩენათ რურისა და დრეზდენის მუშების სისხლში ჩაღრჩობით.

### კომუნისაკენ გერმანიაში.

თუ ყველა ეს ფაქტები არ სტოვებენ ადგილს ეჭვებისათვის, საქსონიის ამბებს მით უფრო გარკვეული მნიშვნელობა აქვს. მუშათა რაზმების და (რომლებიც მოეწყო ცეიგნერის მთავრობის დახმარებით) დაშლა გადაწყვეტილი იქნა პირდაპირ სკანდალურ პირობებში. გენერალ მიულერს არ ჰქონდა ასეთი ბრძანების გაცემის უფლება საქსონიის მთავრობასთან მყოფ სამოქალაქო კომისარ სოც.-დემოკრატ მეიერთან შეუთანხმებლად. მეიერმა გადასცა მიულერს ამის შესახებ თავისი მოსაზრებები. მიუხედავათ ამისა, გენერალმა მიულერმა დამოუკიდებლათ გასცა ასეთი განკარგულება და თავს იმით იმართლებდა, რომ მას არ მიუღია ოფიციალური ცნობა მეიერის დანიშვნის შესახებ.

მუშათა რაზმებმა განაცხადეს, რომ ისინი არ განიარაღდებიან. გუშინ, 17 ოქტომბერს გენერალმა მიულერმა წაართვა საქსონიის მთავრობას მისი ერთად ერთი შეიარაღებული ძალა, ადგილობრივი პოლიცია, რომელიც სამხედრო სარდლობას დაუმორჩილა. იმავე დღეს, დილით, მიულერმა განაცხადა, რომ მუშათა რაზმები, თუ საჭირო დარჩა, განიარაღებული იქნებიან ძალით, ე. ი. იმ ფაშისტურად განწყობილი რეიხსვერის საშუალებით, რომელიც მიულერმა თავის დროზე შეავსო მრავალი ასეული ფაშისტით „ფოლადის მაუზარადის"*) კავშირიდან. იმავე დღეს საღამოს ჩვენ ორი ახალი ამბავი გავიგეთ, პირველყოვლისა მიულერის ულტიმატუმი საქსონიის პრემიერ სოციალისტ ცეიგნერისადმი. თავხედურ წერილში, რომელიც საჯაროდ იქნა წაკითხული ლანდტაგის ტრიბუნიდან, გენერალი მოითხოვს ცეიგნერისაგან, რომ მან 18 ოქტომბრის დილის თერთმეტ საათამდი გადააყენოს საქსონიის ფინანსთა მინისტრი კომუნისტი ბეტხერი, რომელმაც თავის სიტყვაში მხარი დაუჭირა პროლეტარიატის შეიარაღებას და წითელ დიქტატურას. ცეიგნერმა განაცხადა, და ეს სიტყვები დაფარა ლანდტაგის მუშური უმრავლესობის მქუხარე ტაშმა, რომ მთავრობა პასუხისმგებელია მხოლოდ ლანდტაგის წინაშე და ის არავითარ სამხედრო სარდლობას ანგარიშს არ აძლევს თავის მოქმედებაში.

რა გზა დარჩენიათ უკანასკნელთ გარდა იმისა, რომ დაატუსაღონ მინისტრები და დაითხოვონ პარლამენტი?

მეორე ცნობა, არა ოფიციალური დაკავშირებულია პირველთან: ამბობენ, რომ რეიხსვერის უმაღლესმა სარდლობამ დიდძალი არტილერია გაგზავნა საქსონიაში.

ყველა ამ ამბებიდან ირკვევა, რომ გენერალი მიულერი საქსონიაში მოქმედებს თავდაცვის მინისტრთან ჰესლერთან და მაშასადამე მთელი საიმპერიო მთავრობის შემადგენლობასთან შეთანხმებით.

ფონ-კარი თავის მხრივ საიმპერიო მთავრობისგან მოითხოვს ნებართვას წითელი საქსონიის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. კარი აღაშფოთა იმან, რომ 14 ოქტომბერს იქ, პლაუენში, შეიკრიბა ბავარიის ფაბქარხკომების კონგრესი, რომელსაც დაესწრო 150 დელეგატი.

გენერალ მიულერის მიერ აკრძალული საქსონიის ფაბქარხკომების კონგრესი მაინც შესდგა 13 ოქტომბერს (დაესწრო 155 დელეგატი).

ტიურინგიაში განხორციელდა მუშათა ბლოკი. იქ 13 ოქტომბერს მუშური მთავრობის მფარველობის ქვეშ მოეწყო მოქმედების კომიტეტი 20 კაცისგან შემდგარი. მოქმედების კომიტეტში შევიდნენ კომუნისტების, სოციალ-დემოკრატების, დამოუკიდებლების, პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანების და მუშათა წითელი რაზმების წარმომადგენლები.

გერმანიის სოციალ დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა (როგორც იქნა!) მიიღო რეზოლიუცია საალყო წესების მოხსნის შესახებ და დაავალა გერმან მიულერს გამართოს მოლაპარაკება ებერტთან და შტრეზემანთან. საეჭვოა, რომ ეს უკანასკნელი ცდა, საქსონიაში მოსალოდნელი სისხლის-ღვრის თავიდან აცილებლად, წარმატებით დამთავრდეს.

ყოველ შემთხვევაში საქსონიის მუშური მთავრობა და საქსონიის პროლეტარიატი უკან არ დაიხევენ.

ძალადობაზე ისინი ძალადობით უპასუხებენ; შესაძლოა ხვალ აჯანყებამ იფეთქოს. ტყვიისმფრქვევლების ხმა აუწყებს გერმანიის პროლეტარიატს ბრძოლის დაწყებას:

„სიკვდილი ან გამარჯვება".

როგორ გასაგები უნდა იყოს ყველა ეს ამბები საფრანგეთის, განსაკუთრებით კი პარიზის პროლეტარიატისათვის, როგორ უნდა აღელვებდეს მას ეს ამბები!

გერმანიის დღევანდელი ამბები განმეორებაა პარიზის კომუნის ისტორიის.

1871 წელს საფრანგეთს უნდა გადაეხადა კონტრიბუციები გერმანიის გამარჯვებული იმპერიალიზმისათვის. ტიერი მოითხოვდა, რომ კონტრიბუცია საფრანგეთის პროლეტარიატს გადაეხადა ისე, როგორც შტრეზემანი და სტინესი მოითხოვენ, რომ გერმანიის პროლეტარებმა გადაიხადონ კონტრიბუციები 1914—18 წლების ომის და რურის ბრძოლის წაგებისათვის. 1871 წელს ტიერმა აუწყა პარიზის „კეთილ მოქალაქეთ" მუშა ხალხის განიარაღების შესახებ, რომელსაც თავის განკარგულებაში რამდენიმე ზარბაზანი ჰქონდა. ეს იყო სწორეთ საალყო წესების დროს. ჯარების მარცხით დამთავრებული ცდა ხელში ჩაეგდოთ მონმარტრზე სახალხო გვარდიის არტილერია, გახდა კომუნის გამოცხადების ნიშანი.

ისტორია მეორდება.

მაგრამ გერმანიის კომუნას ეყოლება არა ნაკლებ 15 მილიონი მებრძოლისა.

რ. ალბერტ.

ბერლინი, 19 ოქტომ.

---

*) ფაშისტური ორგანიზაცია გერმანიაში.

## სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა"-ს ცნობები).

**დიდი კოალიციის კრახი:** მთავრობიდან სოციალ-დემოკრატების გასვლის შემდეგ, შტრეზემანის კაბინეტი გადადგა. ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ისევ შტრეზემანს.

დიდი კოალიციის კრახის შემდეგ მოელიან საქსონიის მთავრობის გადადგომასაც.

**პრესის აზრი კრახის შესახებ:** გერმანიის მემარჯვენე პრესა აღტაცებულია მთავრობიდან სოციალ-დემოკრატების გასვლით. მათი აზრით, ეს დიდი ხანია მოსალოდნელი იყო.

**კატასტროფიული მდგომარეობა:** გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფიულია; მუშა-მოსამსახურენი ჯამაგირს ღებულობენ ქაღალდის მარკით, რომლითაც არ შეუძლიათ არაფრის შეძენა. მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება.

**მზადება ბერლინზე გასალაშქრებლად:** ბავარიის ფაშისტები არ მალავენ, რომ ისინი ემზადებიან ბერლინზე გასალაშქრებლად.

პრუსიაში ეწყობა ფაშისტური რაზმები, რომლებმაც დახმარება უნდა გაუწიონ ბავარიას ბერლინზე თავდასხმის დროს.

## დიდი კოალიციის კრახი

### შტრეზემანი გადადგა

**ბერლინი. 4 ნოემბერი.** კაბინეტიდან 3 სოციალ-დემოკრატ-მინისტრის გასვლის შემდეგ კანცლერმა შტრეზემანმა გადასცა პრეზიდენტ ებერტს განცხადება მისი კაბინეტის გადადგომის შესახებ, რის შემდეგ პრეზიდენტმა ებერტმა მიანდო შტრეზემანს კაბინეტის რეორგანიზაციის მოხდენა.

**რატომ არ მიიღო შტრეზემანმა ესდეკების ულტიმატუმი.**

**ბერლინი. 4 ნოემბერი.** გამოქვეყნებული მთავრობის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ **კაბინეტის მდგომარეობა ძალიან გაუარესდა სოციალ დემოკრატების ულტიმატუმით.** მთავრობას არ შეეძლო მიეღო ეს ულტიმატუმი, რადგან ეს შექმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას, რომ იგი ემორჩილება მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სურვილებს და დაადასტურებდა აზრებს იმის შესახებ, **რომ კაბინეტი განიცდის მარქსისტების ზეგავლენას.** ცნობაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მთავრობის წევრთა უმრავლესობის აზრით არც ბავარიის და არც საქსონიის მდგომარეობა ნებას არ აძლევს მთავრობას მოხსნას საალყო წესები, რასაც სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ.

**პარტიის ზედაფენების კოალიციონური პოლიტიკის წინააღმდეგ.**

**ბერლინი. 3 ნოემბერი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრაუნშვეიგის საოლქო კომიტეტმა გაილაშქრა ცეკას კოალიციონური პოლიტიკის წინააღმდეგ** და მოითხოვა საგანგებო პარტეიტაგის მოწვევა პარტიის წევრთა უმრავლესობის სურვილის გამოსარკვევათ.

**როგორ დაიშალა კოალიცია.**

**ბერლინი. 2 ნოემბერი.** პარასკევს, გერმანიის მთავრობის სხდომაზე, რომელსაც ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა დიდი კოალიციისათვის, **მოხდა შეჯახება სოციალ-დემოკრატიულ და ბურჟუაზიულ მინისტრების შორის** შტრეზემანის თათბირი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ბელადებთან უშედეგოთ დამთავრდა. ხელმძღვანელ მემარჯვენე პარტიების, სახალხო პარტიის მარჯვენა ფრთისა და ცენტრის სურვილმა გამოიწვიათ კრიზისი,—**აიძულა სოციალ-დემოკრატები მათი მოთხოვნილებების უარყოფის შემდეგ, გამოსულიყვნენ მთავრობიდან.** თუმცა მდგომარეობა აშკარად გამორკვეული იყო, სოციალ დემოკრატიულმა ფრაქციამ გადასდგა ასეთი ნაბიჯი მხოლოდ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ.

მთავრობიდან გამოსვლის წინააღმდეგ ხმა მისცეს: პრუსიის პრემიერმა ბრაუნმა, ზივერინგმა, დავიდმა, ჰეინრიხმა, შულცმა, გრედნაუერმა და კრეციგმა. **სოციალ დემოკრატ მინისტრებმა რადბრუხმა, ზოლმანმა და შმიდტმა გადასცეს შტრეზემანს განცხადება გადადგომის შესახებ.**

**მთავრობიდან სოციალ-დემოკრატების გამოსვლის მიზეზი.**

**ბერლინი. 2 ნოემბერი.** სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის პარლამენტარულ ბიულეტენის ცნობით, სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ მთავრობიდან, არა მარტო შინაურ პოლიტიკური, არამედ საერთო პოლიტიკური მოსაზრებების გამო.

ბიულეტენი იუწყება, რომ **შტრეზემანის მთავრობის მთელი რიგი მინისტრებისა მხარს უჭერენ საფრანგეთთან კავშირის სრული გაწყვეტის პოლიტიკას. სოციალ-დემოკრატებს არ შეუძლიათ მოიწონონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც არის გერმანიის ხალხის ღალატი'** ვინაიდან დაპყრობილი ოლქები ფრანგების ხელში რჩებიან. სოციალ-დემოკრატების ბელადებთან მოლაპარაკების დროს შტრეზემანმა უარჰყო სოციალ-დემოკრატების მოთხოვნა, სამხედრო და საალყო წესების გაუქმების შესახებ, ასაბუთებდა ამას იმით, რომ რეიხსვერი ასეთ განკარგულებას მისადმი უნდობლობის გამოცხადებათ ჩასთვლიდა.

**ბიულეტენში აღნიშნულია, რომ სოციალ-დემოკრატები მომავალში მხარს აღარ დაუჭერენ შტრეზემანის მთავრობას.** ფიქრობენ, რომ სოციალ-დემოკრატების და ნაციონალისტების ოპოზიციის გამო, შტრეზემანის ახალ კაბინეტს აღარ ეყოლება პარლამენტის უმრავლესობა, **რის გამოც შტრეზემანი იძულებული იქნება გაუშვას რეიხსტაგი მთავრობის გაფართოებულ უფლებების მიხედვით.**

**ყველანი შტრეზემანის ხაზის წინააღმდეგ მიდიან.**

**ბერლინი. 2 ნოემბერი.** ფიქრობენ, რომ შტრეზემანი ვერ გაბედავს გადადგომას და შეეცდება კოალიციის გაფართოებას მარჯვნივ. დემოკრატები იმუქრებიან თავიანთი მინისტრების გაწვევით, თუ მთავრობა დაეყრდნობა ნაციონალისტებს. **უკიდურესი მემარჯვენეები ილაშქრებენ ყოველგვარ კომპრომისის წინააღმდეგ და დაჟინებით მოითხოვენ შტრეზემანის გადადგომას.**

**კოალიციის დაშლა მომხდარი ფაქტია.**

**ბერლინი. 2 ნოემბ. საღამოს გაზეთები დიდი კოალიციის დაშლას მომხდარ ფაქტად სთვლიან.** ცენტრის გაზეთი „გერმანია" ეკამათება რა ბურჟუაზიულ მთავრობის მომხრეებს, აცხადებს, რომ მემარჯვენეთა დიქტატურა დამყარდება ბურჟუაზიულ მთავრობის გარეშე, თუ მას არ დაუპირდაპირდებიან სხვა ძალები.

**„ახტ-ურ აბენდბლატი" ხაზს უსვამს, რომ საჭიროა სამუდამოთ იქნას თავიდან აცილებული მთავრობაზე სოციალ-დემოკრატების გავლენა, ბავარიასთან ურთიერთობის აღდგენის მიზნით.**

**ებერტს წინადადებას მისცემენ გადადგომის შესახებ.**

**ბერლინი.** 2 ნოემბ. **სოციალ-დემოკრატიული წრეები გადმოგვცემენ, რომ პარტიის ცეკას განზრახული აქვს წინადადება მისცეს ებერტს გადადგეს, იმ შემთხვევაში, თუ ახალი მთავრობა მიიღებს კაპიტულიაციას ბავარიის წინაშე, ან თუ მის შემადგენლობაში შევლენ ნაციონალისტები.**

**გაფაციცებული მზადება დირექტორიის შესადგენად.**

**ბერლინი.** 2 ნოემბერი. გერმანიაში მემარჯვენე წრეები გაფაციცებით ემზადებიან დირექტორიის გამოსაცხადებლად. სახალხო პარტიის სტინესის ფრთა, **ცენტრის მარჯვენა ფრთა და მრეწველთა სხვა ჯგუფები და მათ შორის დემოკრატიულ პარტიის მემარჯვენე ფრთა აწარმოებენ მოლაპარაკებას 4 კაცისაგან შემდგარ დირექტორიის გამოცხადების და მისთვის დიქტატორულ უფლებების მინიჭების შესახებ.** შტრეზემანის ორგანო „ცეიტი" იუწყება, რომ ასეთი დირექტორიის შედგენის გეგმა საბოლოოდ არის გამომუშავებული. ცენტრის ორგანოს „გერმანიის" ცნობით დირექტორიაში ასახელებენ ჰელფერიხს.

ტევტონიის პარტია და აგრეთვე ჰიტლერის და კარის კავშირები ილაშქრებენ ასეთი დირექტორიის წინააღმდეგ, ვინაიდან უკანასკნელი დაეყრდნობა გენერალ სექტას. გერმანელ ნაციონალისტების საბოლოო პოზიცია ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

## კრახის შემდეგ

**შტრეზემანი ხელისუფლებას ეპოტინება.**

**ბერლინი. 3 ნოემ.** პასუხად სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილებაზე შტრეზემანმა ხაზგასმით აღნიშნა, **რომ უკანასკნელ დღეებში მდგომარეობა გართულდა და ამიტომ საიმპერიო მთავრობას არ შეუძლია დაექვემდებაროს ყოველ ცალკე პარტიის ნება სურვილს.** სამხედრო და საალყო წესების გაუქმებას შტრეზემანი ვერ სთვლის შესაძლებლათ შინაგან-პოლიტიკურ მოსაზრებებისა და ბავარიაში და ტიურინგიაში შექმნილ მდგომარეობის გამო.

საერთო აზრით, **შტრეზემანი შეეცდება განაგრძოს მართვა-გამგეობა დარჩენილ არასრულ კაბინეტით.** ამ შემთხვევაში ის დაეყრდნობა ცენტრს სახალხო პარტიას და ბურჟუაზიულ დემოკრატებს. კანონი მთავრობისათვის ფართე უფლებების მინიჭების შესახებ კაბინეტში მომხდარ ცვლილებების გამო, ავტომატიურათ გაუქმდება. მაგრამ **ძალაში რჩება კონსტიტუციის მე 48 მუხლი განსაკუთრებულ მდგომარეობის შესახებ, რომელიც უფლებას აძლევს შტრეზემანს შეინარჩუნოს ხელისუფლება საპარლამენტო უმრავლესობის გარეშეც.**

არის ხმები, რომ შტრეზემანს განზრახული აქვს შეავსოს კაბინეტი ნაციონალისტებთან ახლო მდგომ საქმიან პირებით. **ბურჟუაზიული დემოკრატები გათიშვით იმუქრებიან იმ შემთხვევაში, თუ კაბინეტში ნაციონალისტები შევლენ.** სახალხო პარტიის მემარჯვენე ფრთა და სტინესის ჯგუფი რეიხსტაგის დათხოვნას მოითხოვენ, რამაც, სოციალ-დემოკრატების გათიშვის გამო, უნდა გამოიწვიოს მემარჯვენე პარტიების გაბატონება. სტინესის მომხრეები ნაციონალისტებთან შეთანხმებისაკენ მიისწრაფვიან, **მაგრამ ნაციონალისტები უარყოფით თავს ეპყრობიან შტრეზემანს.**

„კრეიცე ცეიტუნგ"-ი მოითხოვს კოალიციის მოსპობას, პრუსიის ლანდტაგში ზევერინგის გადაყენებას, ბავარიასთან თანამშრომლობას და ნაციონალისტურ ძალების გაერთიანებას. „დოიჩე ტაგეს ცეიტუნგ"-ი, გარდა ამისა, საიმპერიო მთავრობის შედგენას მოითხოვს, რომელიც შესდგება ნაციონალისტებისა და მიწათმფლობელებიდან, და აცხადებს, რომ **გერმანიის ერს ესწყურია ნაციონალური მთავრობა და უთუოდ ხელდაკრეფილი ლოდინით აღარ დაკმაყოფილდება.** გაზეთი „დოიჩე ტაგეს ცეიტუნგ" ფორმულაში აყალიბებს მემარჯვენე წრეების თვალსაზრისს. იგი მოითხოვს შტრეზემან ებერტის გადადგომის და პრუსიის მთავრობის განახლება. მემარჯვენე წრეები დაჟინებით მოითხოვენ სტინესის მომხრეთა გამორიცხვას იმპერიისა და პრუსიის ახალ მთავრობებიდან პრაქტიკულ მოსაზრებებით, მემარჯვენეები მოითხოვენ, რომ ებერტმა **გადადგომის წინ დანიშნოს რეიხსკანცლერი, რომელიც შეადგენს ახალი ნაციონალისტურ მთავრობას.**

ბავარიის პატრიოტულ კავშირთა წარმომადგენელი ბაუერი მოლაპარაკებას აწარმოებს პრუსიის პატრიოტულ კავშირებთან გერმანიის ძველი კონსტიტუციის საფუძველზე პრუსიის მძლავრი მთავრობის შედგენის შესახებ. სახალხო პარტია, საიმპერიო კოალიციის დაშლის გამო, პრუსიის ლანდტაგის დაშლასაც მოითხოვს. შაბათს შესდგება ამ საკითხისათვის სახალხო პარტიის გადამწყვეტი სხდომა. **ნაციონალისტებიც მოითხოვენ კოალიციის მოსპობას.** ცენტრი, სოციალ-დემოკრატები და ბურჟუაზიული დემოკრატები გამოსთქვამენ აზრს პრუსიის ლანდტაგში კოალიციის დატოვების სასარგებლოდ, უკიდურეს შემთხვევაში—სახალხო პარტიის მონაწილეობის გარეშე.

**რეიხსტაგის დათხოვნის წინ.**

**ბერლინი.** 3 ნოემბერი. თუ მომავალ ოთხშაბათს რეიხსტაგის სხდომაზე მთავრობა არ მიიღებს უმრავლესობის ნდობას, **რეიხსტაგი დათხოვნილ იქნება.** შტრეზემანი განაგრძობს მოლაპარაკებას საქმიან პირებთან კაბინეტის შევსების შესახებ.

## პრესის აზრი კრახის შესახებ

**განგაში**

**პარიზი. 4 ნოემბერი. გერმანიის მემარჯვენე პრესა გამოსთქვამს სიხარულს კოალიციონურ მთავრობის დაშლის და მისი შემადგენლობიდან სოციალ დემოკრატების გამოსვლით.**

**„ფორვერტსი" კაბინეტიდან სოციალ დემოკრატ. გასვლას სთვლის ბავარიის დიქტატორის კარის გამარჯვებად.**

სხვა გაზეთების აზრით, კაბინეტიდან სოციალ-დემოკრატების გასვლამ უნდა გამოიწვიოს საქსონიის მთავრობის ახალი კრიზისი.

„ბერლინერ ტაგებლატი"-ის სიტყვით, გერმანიის კონსტიტუცია საშუალებას აძლევს პრეზიდენტ ებერტს მიანდოს შტრეზემანს დირექტორიის შედგენა.

**„ტანი" ადასტურებს.**

**პარიზი** 4 ნოემბერი. **„ტანი" ადასტურებს ცნობას იმის შესახებ, რომ ბავარიის მთავრობამ ულტიმატიურად მოსთხოვა შტრეზემანს საიმპერიო დიქტატურის შედგენა.**

## კატასტროფიული მდგომარეობა

**ფინანსიური და სასურსათო მდგომარეობის სრული დაშლილობა.**

**ბერლინი.** 2 ნოემ. სპეკულიაცია ოქროს სესხით ძლიერდება. დღემდე გამოშვებულია ოქროს სესხი 500 მილიონი ოქროს მარკის რაოდენობით. ხმარებაში გამოსული 300 მილიონი გაქრა ბაზარზე, დანარჩენ მტკიცე ვალიუტის მზგავსათ. უკანასკნელ დღეებში ოქროს სესხს ბირჟაზე არ ჰქონდა ფასი, რადგანაც არ იყო სრულებით მიწოდება.

**ბერლინის სასურსათო ბაზარზე ხდება შეჯახება ბითუმათ და წვრილათ მოვაჭრეებს შორის.** ბითუმად მოვაჭრეები მოითხოვენ მტკიცე ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუტით გადახდას. წვრილათ მოვაჭრეებს, რომელთაც არ აქვთ მტკიცე ვალიუტა, აღარ შეუძლიათ საქონლის შესყიდვა.

**მუშებს, რომლებიც სამუშაო ხელფასს იღებენ ქაღალდის მარკებში, არაფრის ყიდვა არ შეუძლიათ.** ბერლინში პურის სიმცირე საგრძნობია. საქონლის ფასი უზომოთ მაღლა იწევს. უმუშევართა მდგომარეობა უარესდება, რადგანაც ისინი ღებულობენ მათი კუთვნილი დახმარების მხოლოდ ნახევარს.

**მრავალი ქალაქი უშვებს ადგილობრივ ბონებს.** თვით ცალკე სამმართველოები, მაგალითად, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო, უშვებენ საკუთარ ბონებს.

# მზადება ბერლინზე გასალაშქრებლად

### საქსონიის მაგალითის მიხედვით.

ბერლინი. 3 ნოემბერი. „როსტა"-ს ბავარიელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ტიურინგიის მთავრობას და გენერალ რეინგარდტს შორის ხშირია უთანხმოება. რეინგარდტმა პროტესტი განაცხადა იუსტიციის კომუნისტ მინისტრის კორშის სიტყვის წინააღმდეგ, რეიხსვერის ჯარისკაცების მიერ მუშის მოკვლის გამო. მთავრობამ უარი განაცხადა განმარტების მიცემაზე და განაცხადა, რომ ის პასუხისმგებელია მხოლოთ ლანდტაგის წინაშე.

**რეინგარტმა პროტესტი განაცხადა მთავრობის განცხადების წინააღმდეგ იმის შესახებ, რომ ის ემყარება პროლეტარულ რაზმებს.**

ტიურინგიის პრემიერმა ფრელიხმა „როსტა"-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ **მზადება ბავარიაში ეხება არა მარტო ტიურინგიას, არამედ ის მიზნათ ისახავს აგრეთვე შეტევას ბერლინზე, და თუ საიმპერიო მთავრობა არ ღებულობს ზომებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის თანაუგრძნობს ბავარიის რეაქციას.** კორშმა განაცხადა, რომ ბავარიის საზღვარზე თავმოყრილია 24 000 ჰიტლეროველი და კარის მომხრე. კარის მომხრეების უთანხმოება ჰიტლეროველებთან, რომლებიც ლიუდენდორფის მაგიერ აყენებენ ერხარდტის კანდიდატურას, არ არის აღმოფხვრილი.

სოციალ-დემოკრატებმა ტიურინგიაში შეადგინეს თავდაცვის განსაკუთრებული რესპუბლიკანური რაზმები.

### ულტიმატიური თავხედობა.

ბერლინი. 3 ნოემბერი. ბერლინში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ბავარიის მებრძოლმა კავშირებმა წარუდგინეს საიმპერიო მთავრობას **ულტიმატიური მოთხოვნილება მთელს გერმანიაში ბავარიისებურ მემარჯვენეთა დიქტატურის დამყარების შესახებ.** წინააღმდეგ ოფიციალური უარყოფისა, ეს ცნობები მართლდება. სოციალ-დემოკრატიული საპარლამენტო ბიულეტენი იტყობინება, რომ ბავარიის ელჩმა პრეგერმა აცნობა საიმპერიო მთავრობას, რომ **არალეგალური მებრძოლი კავშირები დაიძრენ შუა გერმანიის გზით ბერლინის მიმართულებით.**

### ბადენი ბავარიის თავდასხმის საფრთხის წინ.

ბერლინი. 3 ნოემბ. ბადენის შინაგან საქმეთა მინისტრი დეპეშით სთხოვს გერმანიის მთავრობას, რათა მან შეჰკითხოს ბავარიას საომარი მზადების შესახებ, ვინაიდან **ბადენი საფრთხეში ვარდება.**

### ფაშისტური კავშირების მოწყობა.

ბერლინი. 3 ნოემბ. აღმოსავლეთ-პრუსიაში გაცხოველებით სწარმოებს ფაშისტურ მებრძოლ კავშირების მოწყობა. ადგილობრივი ხელისუფლება და მემამულეები უწევენ ენერგიულ დახმარებას არალეგალურ სამხედრო ორგანიზაციებს.

### ბავარიის ფაშისტები ბერლინზე გალაშქრებით იმუქრებიან.

ლონდონი. 4 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, **ბავარიის მონარქიულმა მთავრობამ მიმართა შტრეზემანს მოთხოვნით ბავარიის დაგვარად საიმპერიო დიქტატურის გამოცხადების შესახებ.** ამის გამო გაგზავნილ ნოტაში ბავარიის მთავრობა იმუქრება ბავარიის საზღვრებზე მყოფ ჯარების ბერლინის წინააღმდეგ გაგზავნით, თუ იქ დიქტატურა არ იქნება გამოცხადებული.

# ჰამბურგი აჯანყების შემდეგ

### საავადმყოფოდან სატუსაღოში.

ბერლინი. 2 ნოემბ. ჰამბურგის ხელისუფლებამ აკრძალა საავადმყოფოებიდან ავადმყოფთა და დაჭრილთა გამოწერა პოლიციის დაუკითხავად.

**რეიხსტაგის კომფრაქციამ პროტესტი განუცხადა ებერტს იმის გამო, რომ ჰამბურგის სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა მუშა ტორელს.**

# რა ხდება საქსონიაში

### ახალი კაბინეტი უკვე ირყევა.

დრეზდენი. 2 ნოემ. საიმპერიო მთავრობიდან სოციალ-დემოკრატების გასვლის ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ წრეში. ფიქრობენ, რომ საიმპერიო მთავრობის კრიზისი საქსონიის მთავრობის კრიზისსაც გამოიწვევს მემარჯვენე გაზეთები ცხარედ ილაშქრებენ ფლიშის კაბინეტის წინააღმდეგ. იუწყებიან, რომ **საქსონიაში არაჩვეულებრივი ტერორია, პროლეტართა ასეულების წინააღმდეგ მიმართული.**

### მთავრობის ჯარებით გაივსო საქსონია.

დრეზდენი. 2 ნოემ. ხემნიცსა და ლიმბახში განუწყვეტლივ მოდის რეიხსვერის ახალ-ახალი ნაწილები.

### რეიხსვერის თარეში.

ბერლინი. 2 ნოემ. ხემნიცსა და ცვიკაუში რეიხსვერმა მოახდინა კომუნისტების და სოციალ დემოკრატების მასიური დატუსაღება. **მუშებსა და რეიხსვერს შორის შეტაკებაც მოხდა.** მოკლულია ერთი მუშა, ერთიც დაიჭრა. **მწარმოებლები ასობით ითხოვენ კომუნისტ მუშებს.**

# წითელ ტიურინგიის საზღვრებზე

### ბავარიის ფაშისტები შეტევაზე გადადიან.

ბერლინი 2 ნოემბ. „ფოსიშე ციტუნგ"-ის ცნობებით, ბავარიის პატრიოტებმა ზონნენბერგში სროლა აუტეხეს ტიურინგიის მოსაზღვრე სადარაჯოებს. ტიურინგიის მოსაზღვრე ჯარისკაცებს პასუხი არ გაუციათ სროლაზე.

# დაპყრობილ ოლქებში

### რურის კომუნისტების დევნა.

ბერლინი. 2 ნოემბერი. ესსენში გერმანიის პოლიტიკურმა პოლიციამ საფრანგეთის ჯარების დახმარებით დაიკავა კომპარტიის საოლქო სამდივნო და კომუნისტურ გაზეთ „რურის გამოძახილის" შენობა. დატუსაღებულია პროფკავშირების მდივანი გრაული.

### ინგლისის მუშები მოითხოვენ ინგლისის ჯარების გაყვანას რურის ოლქიდან.

ლონდონი. 2 ნოემბერი. „უორკერს უიკლი"-ს მოყავს გრძელი სია იმ მუშათა ორგანიზაციებისა, რომელნიც მოითხოვენ ინგლისის ჯარების გაყვანას რეინის ოლქიდან და გერმანიის მუშების დაცვის ორგანიზაციის მოწყობას. შიპლის ოლქში მუშათა პარტიამ ტრედიუნიონებთან და კომპარტიასთან ერთად მოაწყო მოქმედების საბჭო, რომელმაც მანიფესტი გამოაქვეყნა, სადაც მოუწოდებს მუშებს გაფიცვისაკენ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის ჯარები გაგზავნილი იქნებიან გერმანიის მუშების წინააღმდეგ.

ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავის გამო, კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის მუშები სდგანან იმ განსაცდელის წინაშე, რომელიც ელოდა რუსეთის მუშებს 1917 წელში. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ თუ რეაქცია გაიმარჯვებს გერმანიაში, მაშინ ეს უბედურება იქნება მთელი ევროპის მუშებისათვის.

# სეპარატისტული მოძრაობა

### ახალი საერთო შეტევა.

ბერლინი. 2 ნოემბერი. კობლენცის სეპარატისტული მთავრობა ამზადებს ახალ საერთო შეტევას. სეპარატისტებმა ხელახლა დაიპყრეს აახენის ქალაქის გამგეობის შენობა.

# გაფიცვების ტალღა პოლონეთში

პროფესიონალურმა კავშირმა მთელ პოლონეთში გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გუშინ დაიწყო.

რკინისგზელთა გაფიცვა გრძელდება; მთავრობამ შემოიღო სამხედრო საველე სასამართლოები.

ლვოვის ციხეში ტუსაღებმა გამოაცხადეს შიმშილობა

პოლონეთის მუშები და გლეხები მოითხოვენ მთავრობამ მეგობრული ნეიტრალიტეტი დაიცვას გერმანიის რევოლიუციისადმი.

### საყოველთაო გაფიცვა.

ვარშავა. 4 ნოემბერი. რკინის გზელთა მილიტარიზაციის და სამხედრო-საველე სასამართლოების შემოღების საპასუხოთ პროფკავშირთა ც. კ—მა და პოლონეთის სოციალისტთა პარტიის ცენტრ. კომიტეტმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს მთელს რესპუბლიკაში. გაფიცვა ორშაბათიდან დაიწყება. „რაბოტნიკ"-ის ნომერი, რომელშიაც მოთავსებული იყო ცნობა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ, დაკავებულია.

### სამხედრო-საველე სასამართლოები რკინისგზელებისათვის.

ვარშავა. 3 ნოემბერი. რკინისგზელთა გაფიცვა გრძელდება. რეპრესიები გაფიცულთა წინააღმდეგ ძლიერდება. კრაკოვში დაწყებულია სამხედრო-საველე სასამართლოები მილიტარიზაციაქმნილ რკინისგზელთა საქმეების გასარჩევათ.

### მასიური გამოსვლის მზადება.

ვარშავა 3 ნოემბერი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვას ზემო-სილეზიის ფოსტის მუშა-მოსამსახურეებიც მიემხრნენ. ვარშავაში ფოსტის მუშა-მოსამსახურეებმა მიტინგზე დაადგინეს მიემხრონ გაფიცვას. პოლონეთის სოციალისტთა პარტია ცდილობს ადგილობრივ ფარგლებით შეზღუდოს გაფიცვა და ნიადაგი გამოუცალოს მასიურ გამოსვლას. მიუხედავად სხვადასხვა ადგილას 400-მდე კომუნისტების დაპატიმრებისა, კომპარტია საგაფიცვო მოძრაობიდან გამოგრძმელილი გამოვა, რადგან მისი გავლენა ფართო მასებში იზრდება.

### ლვოვის პოლიტიკურმა ტუსაღებმა სიმშილობა გამოაცხადეს.

ვარშავა. 3 ნოემბერი. ლვოვის ციხეში პოლიტიკურმა ტუსაღებმა არაჩვეულებრივად მძიმე რეჟიმის გამო სიმშილობა გამოაცხადეს. თითო ვიწრო საკუჭნაოში ჩაყრილია 40 კაცი, მათ შორის ავადმყოფებიც არის. საჭმელ-სასმელი სრულიად უვარგისია.

### რკინისგზელთა გაფიცვა ფართოვდება.

ვარშავა 4 ნოემბერი. რკინისგზელთა საგაფიცვო მოძრაობა ვარშავის რკინის გზის ყველა სადგურებსა და აგრეთვე სკერნევიცის სადგურს მოედო.

### პოლონეთის მუშათა და გლეხთა ლოზუნგები.

ვარშავა. 3 ნოემბ. პოლონეთის მუშათა მოძრაობის მემარცხენე მიმდინარეობის გამომხატველ გაზეთ „ოდნოდნევკა"-ს მეთაურ წერილში აღნიშნულია, რომ პოლონეთის ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესები აიძულებენ მას მონაწილეობა მიიღოს გერმანიის რევოლიუციის ჩაღრჩობაში. გაზეთი აყენებს პოლონეთის მუშათა და გლეხთა შემდეგ ლოზუნგებს: პოლონეთის მეგობრული ნეიტრალიტეტი გერმანიის რევოლიუციის მიმართ, რუსეთის პურის თავისუფალი ტრანზიტი პოლონეთის ტერიტორიაზე და რევოლიუციონურ გერმანიის უზრუნველყოფა ზემო-სილეზიის ნახშირით.

# ქართული კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის დაშლა უცხოეთში

## გერმანიაში მყოფ ქართველი სტუდენტების ხმა

### საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას.

1923 წ. სექტემბრის 23 ს, „გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტთა კავშირს" გამოვეყავით ჩვენ, ერთი ნაწილი ქართველი სტუდენტობისა. მიზანი: სამუდამოთ კავშირის გაწყვეტა ქართველ ემიგრანტულ იდეოლოგიასთან და ქართულ სტუდენტთა იმ ნაწილთან, რომელიც დამცველია ამ უკანასკნელისა. კავშირის 2 ნახ. წლის საერთო მუშაობამ დაგვარწმუნა სტუდენტობის ერთი ნაწილი, რომ საჭიროა უარვყოთ კავშირის ის შეურიგებელი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საქართველოში არსებულ დღევანდელ ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჩვენ ვიცით, რომ მოღალატეობას დაგვწამებენ ემიგრაციაში მყოფ ქართველ სტუდენტთა საქმისადმი და ბოლოს ქართველ ერისადმი, ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენი მოქმედება, სიტყვები არ გამოიწვევს გამოძახილს იმ სტუდენტთა ვიწრო წრეში, რომელიც იძულებულია თავისი მდგომარეობით იდგეს დახავსებულ ემიგრაციის იდეოლოგიის ნიადაგზე და იმოქმედოს იმ ქართველ სტუდენტთა პროგრესიულ აზროვნების წინააღმდეგ, რომლებიც სცდილობენ საღის მოფიქრებით, სრულიად ობიექტიურად დააფასონ თანამედროვე საბჭოთა საქართველოს სინამდვილე. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტთა უმეტესი ნაწილი, რომელიც სრულიად უსაფუძვლოთ სხვადასხვა ჯგუფების გავლენის ქვეშ იმყოფება, დღეს თუ ხვალ შეიგნებს ჩვენი ნაბიჯის აუცილებლობას და ამოგვიდგება გვერდში ჩვენი საუკეთესო მომავლისათვის საბრძოლველათ.

ქართველი სტუდენტობა ცნობილია როგორც მოწინავე ძალა რეაქციასთან ბრძოლაში. იგი მუშებთან და გლეხებთან ერთად იბრძოდა შავ რეაქციის დასამხობათ. მას არა ერთხელ და ორჯერ გაუგზავნია თავისი საუკეთესო ამხანაგები ციხე-კატორღებში. იგი იყო გამომხატველი მშრომელი ხალხის ინტერესებისა და რევოლიუციის ავანგარდთან იბრძოდა. მით უფრო სამწუხაროა, რომ წარსულში სახელოვანი ქართველი სტუდენტობა, დღეს მშრომელ ხალხის რევოლიუციონურ ბრძოლის გარეშე დარჩეს და ან მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაბარგდეს.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გერმანიაში მყოფი ქართველი სტუდენტობა მოკლებული იყო საშვალებას ობიექტიურად თავისი შეხედულება გამოეთქვა ამ ფაქტის შესახებ. სრულიად შემთხვევით ხელში ჩაუვარდა იგი ემიგრაციას, რომლის ერთი მთავარი მიზანთაგანი არის მტრული და შეურიგებელი განწყობილება შექმნას საბჭოთა ხელისუფლებასა და მის შორის. ემიგრაცია მთელი ამ დროის განმავლობაში ავრცელებდა ტენდენციურ და ცალმხრივ ცნობებს საბჭოთა საქართველოს სინამდვილის შესახებ. იგი სთხზავდა ამბებს, რომელსაც სინამდვილესთან არ ჰქონდა კავშირი. ეს ცალმხრივი აგიტაცია უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც აქაურ ქართველ სტუდენტობას საბჭოთა საქართველოდან გადმოსახლებული სტუდენტობა მოემატა. მაგრამ ჩვენმა ნაწილმა შეიგნო სიყალბე ამ პოლიტიკისა და გამოეყო საერთო კავშირს. ქართველი სტუდენტობა უცხოეთში ფიზიკურათ სნეულდება და სდგას დიდ მორალურათ დაცემის საფრთხის წინაშე. იგი, მოკლებული კულტურულ კავშირს საქართველოსთან და საშუალებას, იძულებულია თავისი მძიმე შრომით გაკაფოს გზა.

ჩვენ, ნაწილი ქართველი სტუდენტობისა, აუცილებლათ ვსთვლით საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობას, ჩვენ გვსურს ჩვენი აკადემიური ცოდნა - მუშაობის უნარი მშრომელ ხალხს მოვახმაროთ და მივიღოთ მონაწილეობა კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების საქმეში საბჭოთა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობით. ჩვენ ვაცხადებთ ჩვენ თავს საბჭოთა მთავრობასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში და ვაღიარებთ მას, როგორც საქართველოს მთავრობას.

ჩვენ, დღეს ბერლინში შეკრებილი 1 ნაწილი ქართველი სტუდენტობისა, უსურვებთ რა საბჭოთა მთავრობას ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას ერის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებისათვის, გამოვსთქვამთ სრულ იმედს, რომ იგი გაგვიწევს ყოველგვარ დახმარებას სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

**დროებითი გამგეობის დავალებით გამგეობის წევრი ვ. ჟანდარელი.**

**საინიციატივო ჯგუფის წევრები.**

1) წულეისკირი ვლადიმერ—ყოფ. მენშევიკი, 2) ჟანდარელი ლადო—ყოფ. მენშევიკი, 3) მახსულია ტარასი—უპარტიო, 4) ლეშკალი გიორგი—ყოფილი ესერი, 5) მაღლაკელ მიხეილ—უპარტიო, 6) ედიბერიძ უპარტიო, 7) ქართველიშვილ უპარტიო, 8) ინაშვილი—ყოფ. მ შევიკი, 9) ნადირაშვილი—ყოფ მ შევიკი, 10) კანდელაკი არჩილ უპარტიო, 11) ჯლარკავა—უპარტ 12) კოპალეიშვილი—უპარტიო, თოფურიძე ბეტრე— კომუნისტი.

# მოწოდება ქართველ სტუდენტობისადმი გერმანიაში

### ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო!

1923 წ. ოქტომბრის 23 ს. ქ. ბერლინში შესდგა საერთო კრება იმ სტუდენტებისა, რომელნიც აუცილებლათა სთვლიან საბჭოთა მთავრობასთან მუშაობას. ამ დღეს დაარსდა: **„საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირი".** ჩვენ საჭიროთ მივაჩნია გაგაცნოთ მიზეზები საერთო კავშირიდან გამოყოფისა და ჩვენი შეხედულება ქართველ სტუდენტთა დანიშნულებაზე უცხოეთში.

ჩვენ, ქართველ სტუდენტობას გვმართებს სრულიად ობიექტიური სინამდვილის აწონ-დაწონა, მისთვის სათანადო ანგარიშის გაწევა. აი, ეს ობიექტიური მდგომარეობის გათვალისწინება და დაკვირვება გვიკარნახებს დავშორდეთ ემიგრაციის იდეოლოგიას, ხელი ავიღოთ მასზე, რადგან ის სრულიად მიუღებელია ჩვენთვის, ჩვენი დანიშნულებისათვის. ჩვენ ემიგრანტები არ ვყოფილვართ, არც ვართ და არც გვინდა, რომ ვიყოთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი დანიშნულება, მიზანი და ჩვენი მოვალეობა ერის წინაშე: ცოდნის მიღება, სამშობლოში დაბრუნება და ჩვენი ცოდნა-გამოცდილების გამოყენება ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

ამხანაგებო! ქართველი სტუდენტობა, ანებებს რა აკადემიურ ცხოვრებას თავს და მიდის რა სამუშაო რომ თავისი ფიზიკური შრომით თ ვი ირჩინოს, ჰკარგავს თავის სა მისი გაჯანსაღება საჭიროა და ა ცილებელი. საჭიროა შეიქმნას ნო მალური პირობები აკადემიური ცხო რებისთვის, რომ ამით საშუალ ბა მივცეთ ჩვენს ამხანაგებს ამართლონ თავიანთი დანიშნულ უცხოეთში, ამ სიტყვის სრუ მნიშვნელობით. საჭიროა ორგა ული დამოკიდებულების აღდგენა ქართველოსთან და კავშირის და საქართველოს სხვადასხვა კულ რულ დაწესებულებებთან. ამის ცხო რებაში გატარება და განხორციელ ბა არ შეუძლია „გერმანიაში მყ ქართველ სტუდენტთა კავშირს", რ გორც თეთრი ემიგრაციის იდეოლ გიის ნიადაგზე მდგომს და იმის და ცველს.

ამიტომ მოგიწოდებთ, ამხანაგებ ვისაც მართლა საქმით გული შეგტ ვათ, და არა მხოლოდ სიტყვებ თქვენი ერისთვის, შემოგვიერთდ ჩვენ და ჩვენი ნაყოფიერ მუშაობ დავამტკიცოთ ჩვენი სიყვარული პატივისცემა ქართველ ერისადმი.

სიტყვა თქვენზეა!

საბჭოთა საქ. სტუდენტთა კავ რის დავალებით, გამგეობის წევ

ვ. ჟანდარელი.

# რეზოლიუცია, მიღებული საინიციატივო ჯგუფის მიერ მოწვეულ სტუ საერთო კრებაზე

1923 წ. სექტემბრის 23 ქ. ბერლინში მომხდარმა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგომ ქართველ სტუდენტთა საერთო კრებამ, იმსჯელა რა საქართველოს საბჭოთა მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, დაადგინა:

1) ამიერიდან გერმანიაში არსდება: **„საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირი".**

2) კავშირი სდგას საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და იმყოფება მთავრობასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში.

3) კავშირის დროებითი გამგე ევალება კავშირის ჩამოყალიბება წესდების შედგენა.

4) კავშირის დროებით გამგე ევალება მიმართოს საქ. საბჭ. მ რობას ოფიციალური წერილით, და(ც) აღნიშნული იქნება მიზანი შირის დაარსებისა.

5) კავშირის დროებითი გამგე ევალება მოწოდება გაუგზავნოს მ.ნიაში მყოფ ქართველ სტუდენ ბას.

# სხვადასხვა

### ინგლისი

**საკითხი ინდოელების მდგომარეობის შესახებ.**

ლონდონი. 2 ნოემბ. საიმპერიო კონფერენციაზე სამი დღე ირჩეოდა საკითხი ინდოელთა მდგომარეობის შესახებ ბრიტანეთის კოლონიებში, რის შემდეგაც მიღწეულ იქნა შეთანხმება ამ საკითხის გარშემო: ყველა საკითხები, რომელნიც შეეხებიან ბრიტანეთის ინდოელებს, განხილული იქნება კომისიის მიერ, რომელსაც ნიშნავს ინდოეთის მთავრობა და ინგლისის კოლონიათა სამინისტრო.

### პორტუგალია

**მთავრობის გადადგომა**

პარიზი. 5 ნოემბერი. პორტუგალიის მთავრობა გადადგა, რადგანაც არ დაამტკიცეს მისი საემისიო პოლიტიკა.

### რუმინეთი

**ახალი კაბინეტის შედგენა.**

ვენა. 1 ნოემბ. შესდგა რუმინეთის ახალი კაბინეტი. ბრატიანუმ ვერ მოახერხა გაეძევებია კაბინეტიდან ფაშისტურათ განწყობილი მინისტრები, რომელთაც მხარი დაუჭირა მეფის სასახლემ. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პორტფელები მაინც ჩამოერთვა ფაშისტებს.

ოპოზიცია ახალ კაბინეტს უარყოფით ეპყრობა.

### ბულგარეთი

**ცუდ მაგალითს წაბაძეს.**

ვენა. 3 ნოემ ბულგარეთის ოფიციალური პრესა მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებას, მიუთითებს რა გერმანიის სოციალ-დემოკრატების მაგალითზე.

**ცენტრო-კავშირის გამგეობის პროტესტი.**

მოსკოვი. 1 ნოემბერი. ბულგარეთის მუშათა კოოპერაციის წარმომადგენლის მოხსენების თანახმად ცენტროკავშირის გამგეობამ დაავალა ცენტროკავშირის თავმჯდომარეს ამხ. ხინჩუკს მიმართოს საერთა რისო კოოპერატიულ გაერთია მიიღოს ზომები ბულგარეთში შათა კოოპერაციის დევნის და პერატიულ მოღვაწეების დახვრ შესაწყვეტად და მოითხოვოს ტიმრებულ კოოპერატორების თავისუფლება და აგრეთვე ჯარ მიერ დაკავებულ სტამბის და ხალხო სახლის კოოპერაციის შირისათვის დაბრუნება.

### საბერძნეთი

**მონარქიას მიემხრნენ**

ვენა. 3 ნოემბერი. საბერძ რესპუბლიკანური მართვა გამგ სასარგებლოდ გაძლიერებულ რაობის გამო, საბერძნეთის მთა ბამ მოიწვია უმთავრეს პოლ პარტიათა ბელადების თათბირი. თბირმა მონარქიას დაუჭირა მხა

# ოქტომბრის რევოლიუცია და საერთაშორისო მდგომარეობა

(თეზისები აგიტატორებისათვის)

1. ოქტომბრის რევოლიუციამ რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ წყობილებაში ფეოდალურ-მემამულეთა ელემენტების მოსპობით, მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციით, პატარა ერების ბარბაროსული ჩაგვრისათვის ბოლოს მოღებით დაამთავრა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუცია.

ფეოდალიზმის, ბატონ-ყმობის და წოდებათა ნაშთები ოქტომბრის რევოლიუციამ საბოლოოთ აღმოფხვრა რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებიდან. ამასთან ერთად, **ოქტომბრის რევოლიუციით იწყება სოციალიზმისათვის მუშების უშუალო ბრძოლის პერიოდი.**

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ასე უშუალოთ სოციალისტურ რევოლიუციაში გადასვლა აუცილებელი იყო იმის გამო, რომ რევოლიუციას სათავეში ჩაუდგა რუსეთის შეკავშირებული მუშათა კლასი, რომელსაც იმპერიალისტური ომიდან რევოლიუციონური გზით გამოსვლის პირობებში მეთაურობდა კომუნისტური პარტია. სახელდობრ, რევოლიუციის სოციალისტური შინაარსი—საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მიწაზე, საშუალო და მსხვილ მრეწველობაზე კერძო საკუთრების მოსპობა, პირველი ნაბიჯები სოციალიზმის გზაზე ჩვენი მრეწველობის ორგანიზაციისათვის,—**ხდიან ჩვენს რევოლიუციას ახალი ეპოქის დასაწყისად, პირველ რგოლათ საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის განვითარებაში.**

2. **ოქტომბრის რევოლიუციამ მოსპო ძველი, თვითმპყრობელური სახელმწიფო მანქანა და მის ადგილზე მოაწყო საბჭოები, მუშურ გლეხური დემოკრატიის ორგანოები.** საბჭოების მიერ შექმნილი სახელმწიფო აპარატი ატარებს და არ შეუძლია არ ატაროს რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულეთა წარსულის ნიშნები. შეყავდა რა თავის შემადგენლობაში ძველი მოხელეური აპარატის წარმომადგენლები, მათთან ერთად ითვისებდა მათ საბჭოთა სისტემისათვის უცხო და ხშირად მტრულ თვისებებს.

ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილი კულტურული დონე ხელს უშლის ამ ელემენტების საჩქაროდ განდევნას ან ხელახალ აღზრდას. მაგრამ მუშათა და გლეხთა მასებთან არაჩვეულებრივათ სიახლოვის და აშკარად გამოხატული კლასობრივი ხასიათის გამო, საბჭოები წარმოადგენენ ხალხის მშრომელი ფენების სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის იმ ფორმას, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს სოციალიზმში გადასვლას ჯერ კერძოთ უკანასკნელი წელიწადი უკვე გვაძლევს ერთგვარ წარმატებას საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების და შემცირების, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და სხვა დარგებში, ეს მიღწევები თუმცა მცირეა, მაგრამ ააშკარავებენ კომუნისტური პარტიის და საბჭოებში შეკავშირებული მშრომელ მასების საბჭოთა აპარატზე შემდეგი მუშაობის მთელ შესაძლებლობას.

3 **ნაციონალურ ურთიერთობათა სფეროში** საბჭოთა რესპუბლიკა იძლევა მრავალრიცხოვანი ერების მშვიდობიანი თანაცხოვრების სურათს ერთიან საბჭოთა სახელმწიფოში, რომელიც აგებულია ს. ს. რ. კ. ნებაყოფლობით შესვლის და კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის უფლებაზე. აქაც თვითმპყრობელობის ნაშთები ჩრდილს ჰფენენ რევოლიუციის დღევანდელ დღეს. ს. ს. რ. კ. ცალკე ერების ფაქტიური უთანასწორობა, რომელიც გამოწვეულია რუსეთის მთელი წარსული ისტორიული განვითარებით, კავშირის აღმოსავლეთის ერების კულტურული ჩამორჩენილობით, მრეწველობის უმთავრესად ველიკოროსიაში თავის მოყრით, არ შეიძლება ერთბაშათ იქნას მოსპობილი. მაგრამ საბჭოთა სისტემა,—საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი,—ნათლად გვაჩვენებს, რომ ის არის მშრომელთა სახელმწიფო ძალაუფლების საუკეთესო ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ს. ს. რ. კ. ცალკე ერების ფაქტიური უთანასწორობის თანდათანობით მოსპობას. უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში (მეთორმეტე პარტიული ყრილობის შემდეგ) ეს უდიდესი მუშაობა წინათ დაჩაგრული ერების, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის ერების, კულტურულად და სამეურნეო მხრივ ასამაღლებლათ, სახელმწიფო დაწესებულებების ადგილობრივ ენებზე გადასაყვანად და სხვა, არაჩვეულებრივად გაფართოვდა; ის ჯერ კიდევ დაწყების პროცესშია, მაგრამ უკვე მიღწეული წარმატებები, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პარტიული ყრილობის მიერ დავალებული მუშაობა იმდენათ ენერგიულათ წაიწევს წინ, რომ სულ ახლო ხანში საგრძნობლათ გაამაგრებს რუსეთის მუშათა კლასის კავშირს ს. ს. რ. კ. ჩამორჩენილი ერებას მშრომელ მასებთან.

4. ოქტომბრის რევოლიუციამ თავისი არსებობის პირველივე დღეებში განიცადა გააფთრებული წინააღმდეგობა მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს მხრივ. ამან აიძულა საბჭოთა ხელისუფლება თავისი წარმოშობის პირველივე დღეებში დაისვა საკითხი **წითელი არმიის მოწყობის შესახებ**, რომელიც აუცილებელი პირობა იყო მისი არსებობის, აუცხელ შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლის დროს გამარჯვებიდან და დამარცხებიდან გამოცდილებით მიღებით იზრდებოდა და მაგრდებოდა წითელი არმიის ორგანიზაცია. სპეციალისტების—ძველი ოფიცრების კომუნისტების მეთაურობასთან სწორად შეთავსებით, საბჭოთა ხელისუფლება არაჩვეულებრივათ მძიმე პირობებში, კაპიტალისტურ მტაცებლებთა შორის წინააღმდეგობათა გამოყენებით, ახერხებს თავის დაღწევას ჯერ ჰოგენცოლერნების ჯარის და მემამულეთა და გენერლების არმიის შეტევისაგან, რომელსაც დახმარებას უწევდა ანტანტა. ამის შედეგი ის იყო, რომ წითელი არმიის მოქმედების წყალობით დამყარდა ერთგვარი წონასწორობა საერთაშორისო მდგომარეობაში, რომელიც თუმცა მერყევი არის, მაგრამ მაინც აძლევს საბჭოთა რესპუბლიკას კაპიტალისტური ალყაშემორტყმის პირობებში არსებობის საშუალებას.

კაპიტალისტური ევროპის დაშლის გაძლიერების პირობებში საერთაშორისო მდგომარეობის გართულების გამო, როცა თვითეული კაპიტალისტური მტაცებელი მზად არის ხელში ჩაიგდოს ყველაფერი, რის ჩაგდებაც შეუძლია მას უშიშრად, წითელი არმიის შემდეგი განმტკიცების, მუშათა და გლეხთა მასებთან მისი კავშირის გაძლიერების ამოცანას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. სამილიციო სისტემის ნაწილობრივი გატარება ნათელყოფს, თუ როგორი საორგანიზაციო ძალები დაგროვდა წითელ არმიაში სამოქალაქო ომის პერიოდში და თუ როგორ შესაძლებლობას შლის მუშურ გლეხური მთავრობის არსებობა ქვეყნის დაცვის საქმეში. ამ მიმართულებით შემდეგი სისტემატიური მუშაობა, თვითეული ნაბიჯის ზედმიწევნით განხილვა ხსნიან საბჭოთა ქვეყნის დაცვის გაძლიერების ახალ შესაძლებლობათ, წითელ არმიაზე ხარჯების საგრძნობლათ გადიდების გარეშე.

5. **ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება შესაძლებელი გახდა პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მუშათა კლასმა ჰპოვა მუშათა კლასისათვის და გლეხობისათვის ხელსაყრელი ფორმები ამ ორი კლასის კავშირის.** მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის საფუძველს შეადგენდა ოქტომბრის რევოლიუციის მომენტში გლეხობისათვის მემამულეთა მიწის გადაცემა. ამ კლასების კავშირი საბჭოთა რესპუბლიკების კაპიტალისტების და მემამულეთა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ პერიოდში იღებს სამხედრო კავშირის ხასიათს. იმის შემდეგ, როცა საბჭოთა ძალაუფლების დამხობის პირველი ცდა როგორც იმპერიალისტური გერმანიის, ისე ანტანტის სახელმწიფოების მხრივ საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებით დამთავრდა, მუშათა და გლეხთა კავშირის ფორმები იცვლება საბჭოთა სახელმწიფო დეკრეტით სასურსათო გადასახადის შესახებ, ცდილობს ურთიერთობა მუშებსა და გლეხებს შორის დაამყაროს სამეურნეო ანგარიშზე და გლეხის პირად დაინტერესებაზე. უკანასკნელი სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები, რომელმაც ნათელყვეს მთელს რესპუბლიკაში გაზაფხულის და შემოდგომის ნათესების სივრცის გადიდება, საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, რომ 1921 წელს ნაჩვენები იყო სწორი გზა. გლეხის მეურნეობის დაწყებული აღორძინების მნიშვნელობა მით უფრო უნდა იქნას აღნიშნული, რომ ასეთ აგრარულ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, ქალაქის მრეწველობის აღდგენას შეუძლია ჰპოვოს დასაყრდნობი მხოლოდ სოფლის მეურნეობის აღდგენაში.

6. საბჭოთა ხელისუფლების ცდებმა თავისი არსებობის სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო მრეწველობის და პროდუქტების განაწილების კომუნისტურ საფუძველზე მოსაწყობათ, ძველი რუსეთის ეკონომიკიდან უშუალოდ კომუნისტურ მეურნეობაში გადასასვლელად, შესაფერი შედეგები ვერ გამოიღო, 1921 წელს გამოირკვა სახელმწიფო მრეწველობასა და გლეხურ მეურნეობას შორის ურთიერთობის ბაზარზე ვაჭრობის საფუძველზე მოწყობის აუცილებლობა. ამხ. ლენინი, უკეთებდა რა ჯამს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, ორი წლის წინათ სწერდა: „პროლეტარული მეურნეობა უნდა შეიქნეს ფრთხილი, ბეჯითი, გამოცდილი „ხაზეინი", რიგიან ბითუმათ მოვაჭრით, უამისოთ ის წვრილ-გლეხურ ქვეყანას ვერ დააყენებს ფეხზე."

უკანასკნელი სამეურნეო წლის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ წინსვლას მასიური მოხმარების საგნების დამზადებაში, საქონლის ბრუნვის ზრდას, საკრედიტო ოპერაციების გადიდებას, მსხვილი მრეწველობის აღორძინების დასაწყისს. ეს სავსებით ადასტურებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთავარი ხაზების სასწორეს და აგრეთვე იმას, რომ ის სავსებით შეეფერება ქვეყნის ეკონომიურ სტრუქტურას. ამავე დროს ის ადასტურებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლების ურყეობას როგორც საბჭოთა რესპუბლიკის ისტორიაში შესაძლებელ დიდი ცვლილებების, ისე საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლის პირობებში.

7. ამასთან ერთად ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა უკანასკნელ თვეებში, **განსაკუთრებით კი ქალაქის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების შორის განსხვავება** აყენებს ქვეყანას ახალი დაბრკოლებების საფრთხის წინაშე და აიძულებს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას მიმართონ ახალ ღონისძიებებს მის წინაშე ორი წლის წინათ დასმული ამოცანის გადასაჭრელად. მხოლოდ ამ ფასების დაახლოებას შეუძლია იხსნას ქალაქის მრეწველობა მდგომარეობის გაუარესებისაგან და მასთან ერთად მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობა მერყეობისაგან. ამიტომ სავაჭრო აპარატის გაუმჯობესება, მისი გაიაფება, წარმოების ხარჯების შემცირება, წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკის ძირითად ამოცანას.

ამ ამოცანის გადაჭრაზე ყველა მისი საფეხურებში, პირველი საფეხურის აპარატიდან სინდიკატამდე და საგარეო ვაჭრობის კომისარიატამდე, პატარა წარმოებიდან უდიდეს ტრესტამდი, უნდა დაეთმოს ყურადღების და მუშაობის მაქსიმუმი როგორც პარტიის, ისე საბჭოთა აპარატის მხრივ. თვითეული წარმატება ამ დარგში წარმოადგენს ახლობელ პერიოდში მთავარ საზომს საბჭოთა სახელმწიფოსათვის თვითეული საწარმოო სავაჭრო აპარატის სარგებლიანობის, წესიერი მოწყობის და სისწორის მეურნეობის და ვაჭრობის ცალკე საშუალებით სისწორის გამოსარკვევად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვითეული რეალური წარმატება კოოპერაციებში.

8. **გერმანიაში რევოლიუციონური მოძრაობის განვითარება ახალ პერსპექტივებს უშლის საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური და პოლიტიკური ძლევამოსილობის განმტკიცებას.** რევოლიუციონური ძალა-უფლების გამარჯვება გერმანიაში ახალ გზებს გაუხსნიდა უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ს. ს. რ. კავშირის დაახლოებას სამრეწველო გერმანიასთან. ასეთი დაახლოება მისცემდა ჩვენი კავშირის გლეხობას მისთვის აუცილებელ ქალაქის პროდუქტებს (შედარებით იაფ ფასებში სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, მიწის სასუქს და სხვა). ამასთან ერთად რევოლიუციის გამარჯვება გერმანიაში აძლევს გლეხობას პურის უდიდეს ბაზარს, რასაც თავის თავად არ შეუძლია არ გამოიწვიოს ფასებში განსხვავების შემცირება.

რევოლიუციონურ გერმანიასთან კავშირი განსაკუთრებულის სიძლიერით წასწევს წინ ს. ს. რ. კ. მცხოვრებთა ფართე ფენების კულტურული განვითარების საქმეს. ამასთან ერთად ეს კავშირი გაამაგრებს რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას, რომლის წინააღმდეგ, საერთაშორისო სიტუაციის გართულების გამო, უცხოეთის კაპიტალმა უკვე მოაწყო მთელ რიგ თავდასხმების ცდა. ინგლისის ულტიმატუმმა ამ რამდენიმე ხნის წინათ დაგვანახვა, თუ რამდენათ მერყევია დასვენება კაპიტალისტური ალყა შემორტყმის პირობებში. 1922 წლის პირობები საშუალებას გვაძლევდა გვეფიქრა, რომ შექმნილ ძალთა წონასწორობის ნიადაგზე გაივლის რამდენიმე წელი გადამწყვეტ ბრძოლებამდი, და ამდენხანსვე გაგრძელდება ჩვენი დასვენებაც. უკანასკნელი წლის ამბები გვიჩვენებენ, რომ იმპერიალისტებს შეუძლიათ მოახდინონ ჩვენი დასვენებისათვის ხელის შეშლის ცდა, რომ ამით გვაიძულონ დაუყოვნებლივ გადაუხადოთ მათი და აგრეთვე მათთან დაკავშირებული მემამულეთა რესტავრაციის ვალები. ბურჟუაზიული პოლონეთი არ კმაყოფილდება რიგის ხელშეკრულებით მიღებულ დათმობებით და რიგის ხელშეკ ლების შემდეგ სისტემატიურად გ ნის საბჭოთა ტერიტორიაზე თ ბანდებს, რომელსაც თვითონ აი ღებს. კერზონის ულტიმატუმი დამი, საფრანგეთის მარშალის შის მოგზაურობა პოლონეთში, მიერ-მინისტრის ვიტოსის სი იმის შესახებ, რომ პოლონეთის რი აღმოსავლეთშია, პოლონეთი ხედრო და პოლიტიკური პ მიერ ახალი ანექსიების საჭირო ალაპარაკება, წარმოადგენენ სიმპტომებს. ამიტომ შესაძლე ახალი ინტერვენციის ცდები მ დავათ იმისა, რომ საბჭოთა რ ცდილობს განამტკიცოს მშვიდ ნი მდგომარეობა. ასეთი ო რომლის დროსაც საფრთხეში ბოდა ჩაგდებული რევოლიუციის ლა მონაპოვარნი ს. ს. რ. კ. გორც მუშებისათვის, ისე გლეხ თვის, როგორც გლეხის მიწა, შის 8 საათის სამუშაო დღე, კლასის ორგანიზაციის ელემენ ლი უფლებები,—აცილება შე მხოლოდ რესპუბლიკის დაცვის რიანობის გაძლიერებით.

ამიტომ, მშვიდობიანობის მ პოლიტიკასთან, დასვენების მ კაპიტალისტურ სახელმწიფოებ ნააღმდეგობათა გამოყენებასთან თად, საბჭოთა რუსეთს უნდა წევდეს ძალა მასზე თავდასხმის ველი ცდისათვის წინააღმდეგ გასაწევათ. ამ რამდენიმე ხნ ნად იტალიის ყაჩაღური თავდ საბერძნეთზე გვიჩვენებს, რომ ტალისტური ევროპის დაშლის ბებში თვითეული ქვეყანა, რომ არ შეუძლია თავის დაცვა, შეს ყოველ მომენტში გახდეს კაპიტალისტური მტაცებლის დასხმის მსხვერპლი. ქვეყნის თავ ვის უნარიანობის გაძლიერება კეთესო გარანტია არის ჩვენზე დასხმის ყოველგვარი ცდის წინა მდეგ.

რ. კ. პ. (ბ) ც. კ. საგ.-საპ.

ყოფილე

# ოქტომბრის დღესასწაულისათვის

## ოქტომბრის ზეიმობის წესრიგი

**6 ნოემბერს, საღამოს**—მუშათა, სამხედრო და ახალგაზრდობის კომკავშირთა კლუბებში მოგონებათა გაერთიანებული საღამოები, წარმოდგენები, კონცერტები ზედმიწევნით რევოლიუციონური შინაარსით.

**7 ნოემბერს, დილით**—ალლუმი დიდუბის მოედანზე 11 საათზე. ალლუმში მონაწილეობას ღებულობენ ჯარები, მუშათა ორგანიზაციები, ახალგაზრდობის კომკავშირი, სპარტაკი და სასწავლებლები.

ყველა მუშათა ორგანიზაციები ახალგაზრდობის კომკავშირთან ერთად იკრიბებიან თავიანთ რაიონებში.

**1 რაიონი**—შეკრების დრო 9 საათ., გამგზავრების 9 ს. 30 წ.

**2 რაიონი**—შეკრების დრო 9 საათ, გამგზავრების 9 ს. 30 წ.

**3 რაიონი**—შეკრების დრო 8 საათ., გამგზავრების 8 ს. 30 წ.

**4 რაიონი**—შეკრების დრო 8 ს. 30 წ., გამგზავრების 9 საათ.

რაიონებში მიტინგები არ გაიმართება, რათა არ დაგვიანდეს ალლუმზე მისვლა.

შეკრებილები მწყობრი რიგებით, დროშებით, პლაკატებით, მუსიკით და სიმღერით მიემართებიან ალლუმისაკენ შემდეგი მარშრუტით:

**1 რაიონი:**—ნაძალადევის მოედანი, ჩერქეზიშვილის ქუჩა, ელისაბედის ქუჩა, ვაგზლის ქუჩით დიდუბის მოედნისაკენ.

**2 რე რაიონი:**—პლეხანოვის პროსპექტი, მუშტაიდი, დიდუბის მოედანი.

**3-ე რაიონი:**—კახეთის მოედანი, ციციანოვის დაღმართი, 19 თებერვლის ქუჩა, პლეხანოვის პროსპექტი, მუშტაიდი, დიდუბის მოედანი.

**4-ე რაიონი:**—რუსთაველის პროსპექტი, მუშტაიდი, დიდუბის მოედანი.

10 საათზე ყველა უნდა დარჩეს ალლუმზე.

რაიკომის მდივნები მისვლისას მიმართავენ ამხ. აბაშიძეს, რომელიც უჩვენებს მათ ადგილებს.

**7 ნოემბერს საღამოს**—ყველა თეატრებში, ცირკებში, კინოებში უფასო სანახაობა, სახელდობრ:

**სახელმწიფო ოპერა**—1) მოცარტი და სალიერი, 2) „ნოჩ ნა ლისოი გორე“, 3) „ისპანსკოე კაპრიჩიო“.

**სახელმწიფო დრამა**—(რუსთ. თეატრი) „ცხვრის წყარო“.

**სახალხო სახლი**—„რიასა“—პოტაპენკო.

პატარა თეატრი—„კუზნიცა“, „ბრძოლა პეტროგრადთან“, „კრასნიე დალი ველიკიხ რაბოტ“—სამ ენაზე.

**ცირკი**—დიდი პროგრამა—ფაშისტების ორკესტრი.

**კინო არფახტო**—ოლგა ლომანოვა.
„ **ხოლეი**—სურამის ციხე.
„ **აპოლო**—სიცილის საღამო.
„ **მინიონი**—კატორღელი № 37. პროტესტი რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.
„ **პალასი**—„არამზადა“—დრამა; ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნები (მეცნიერული).

ყველა მუშათა და წითელარმიელთა კლუბებში წარმოდგენები, კონცერტები ზედმიწევნით რევოლიუციონური პროგრამით და კინო. წარმოდგენების დასაწყისი საღ. 8 საათზე, კინოს—საღ. 7 საათზე.

**ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობი კომისია.**

# ძმობილ რესპუბლიკებში

### რუსეთი

**როდის გაიხსნება ს. ს. რ. კავშირის ცაკის სესია.**

**მოსკოვი.** 5 ნოემბ. საკავშირო ცაკის სესიის პირველი სხდომა შესდგება კრემლის დიდ სასახლეში 6 ნოემბერს, 12 საათზე.

**პირველი თოვლი მოსკოვში.**

**მოსკოვი.** 3 ნოემ. მოსკოვში პირველი თოვლი მოვიდა.

**გერმანიის ბავშვთა დახმარების ლიგის განყოფილება.**

**მოსკოვი.** 3 ნოემ. ორეხოვო-ზუევის მუშა-ქალთა საერთო კრებამ დაადგინა გერმანიის ბავშვთა დამხმარე ლიგის განყოფილების შექმნა. პირველი საქველმოქმედო აკრეფა წარმატებით ჩატარდა.

**უცხოეთისაგან დამოუკიდებლად.**

**მოსკოვი.** 3 ნოემ. იმპორტის შემცირების მიზნით საფეიქრო სინდიკატმა რამოდენიმე ხელშეკრულება დასდო ს. ს. რ. კ—ის ტრესტებთან მანქანათა ნაწილების დამზადებისათვის. წინეთ კი მანქანების ნაწილები უცხოეთიდან შემოდიოდა.

**ნავთსადგურების საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატზე გადაცემის წესი.**

**მოსკოვი.** 3 ნოემ. ნავთსადგურების საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატზე გადაცემის წესის გამოსამუშავებლათ დანიშნულია 4 კომისია შავი ზღვის ნავთსადგურებისათვის და თითო კომისია პეტროგრადის, არხანგელსკის, ვლადივოსტოკისა და ნოვო-ნიკოლაევსკისათვის. კომისიების მუშაობა დამთავრდება 15 დეკემბერს.

**პურის ფასები თანდათან იზრდება.**

**მოსკოვი.** 3 ნოემ. პურის პროდუქტთა კამპანიის დასაწყისისთვის დამზადებულია 30 მილიონი ფუთი სხვადასხვა პურის პროდუქტებისა. ეს პური დამზადებულია ექსპორტისა და აგრეთვე მომხმარებელ გუბერნიების მომარაგებისათვის. პურის ფასები ნელა, მაგრამ თანდათან იზრდება.

**კიდევ ერთი ღუმელი.**

**მოსკოვი.** 3 ნოემ. ბრიანსკისა და იუზოვის ქარხნებზე სამ მომქმედ ღუმელს მოემატა კიდევ ერთი, რაც 1,500,000 ფუთით გაადიდებს თუჯის თვიურ წარმოებას. მომავალი წლისათვის განზრახულია კიდევ 10 ღუმელის ამუშავება.

**ნავთის სათბობ მასალის ერთიანი სავაჭრო ფასი.**

**მოსკოვი.** 3 ნოემ. სახელმწიფო გეგმის სამმართველოს პრეზიდიუმმა დაადგინა დამტკიცებულ იქნეს ერთიანი სავაჭრო ფასი ნავთის სათბობ მასალაზე განურჩევლათ მისი ამოღების რაიონისა.

**პირველი სრულიად უკრაინის ყრილობა პროფესიონალი განათლებისათვის.**

**ხარკოვი.** 3 ნოემ. პარასკევს, 2 ნოემბერს გაიხსნა სრულიად უკრაინის ყრილობა წარმოებებში ჩაბმულ მუშათა პროფესიონალი განათლებისათვის.

**„გლეხთა საურთიერთო დახმარების“ ესკადრილია.**

**მოსკოვი.** 3 ნოემ. „გლეხური საურთიერთო დახმარების“ საჰაერო ესკადრილიის სასარგებლოდ ისეთის წარმატებით მიდის შემოწირულების საქმე, რომ გლეხთა საურთიერთო დახმარების ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა 75 მაგიერ, 150 ჰაეროპლანი დამზადდეს. ყველაზე უწინ სარატოვის გუბერნიამ შეავსო ნავარაუდევი თანხა და შემოიტანა 18,000 მანეთი ოქროთი.

### უკრაინა

**სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მე-2-ე სესია.**

**ხარკოვი.** 3 ნოემბერი. დიდის ზეიმით გაიხსნა სრულიად უკრაინის აღმასრულებელი კომიტეტის მე-2-ე სესია, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენლები პროფკავშირებისა, პარტიისა და საბჭოთა დაწესებულებებისა. ამხ. სკრიპნიკმა მოხსენება გააკეთა საკავშირო რესპუბლიკის ცენტრალურ დაწესებულებათა შესახებ. მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია. აირჩიეს სპეციალური კომისია, რომელიც დირექტივებს შეიმუშავებს საკავშირო რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესიაში გასაგზავნ უკრაინის წარმომადგენლებისათვის.

**კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი ფაშიზმის წინააღმდეგ.**

**მოსკოვი.** 3 ნოემბერი. რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასცა 1000 მან. ოქროთი ახალგაზრდობის კომინტერნს, კარლ ლიბკნეხტის სახელობის ფონდში, ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და გერმანიის რევოლუციის მსხვერპლთა დასახმარებლად. ეს ფული შეკრებილი იყო კომუნ. ახალგ. კავშირის საერთაშორისო დღეს.

# სრულიად რუსეთის ცაკის სესია

**კამათი ჯანმრთელობის სახ. კომისარის მოხსენების გამო.**

**მოსკოვი.** 3 ნოემბერი. სრულიად რუსეთის ცაკის სესიის 2 ნოემბრის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ჯანმრთელობის სახ. კომისარის მოხსენების გამო.

ამხ. საიდი (ყირიმი) აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ვეებერთელა აპარატის, განსაკუთრებით საკურორტო სამმართველოს შენახვა დიდ დამატებით ხარჯებს იწვევს და აძვირებს ავადმყოფთა მკურნალობას.

ამხ. (გვარი დამახინჯებულია) ეხება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ბიუროკრატიულ ცენტრალიზაციას საკურორტო დახმარების სფეროში, აღნიშნავს აგრეთვე სხვა და სხვა კურორტების უყაირათობას და მოსამსახურეთა ხელფასის სიმცირეს.

ამხ. ზობროვი (ორიოლი) ყურადღებას აქცევს პროვინციელ ექიმთა კვალიფიკაციის აწევისათვის ზომების მიღების საჭიროებაზე.

ამხ. მინკოვი საექიმო დახმარების საქმის მდგომარეობას სოფლებში კატასტროფიულათ სთვლის. გლეხობას არ შეუძლია საფერშლო პუნქტებისა და მედიკამენტებისათვის საჭირო ხარჯების გაღება და მარჩიელობას მიმართავს, ბავშვობისა და დედობრივობის დაცვის მხრივ სოფლის საბავშვო სახლებში საშინლათ მაღალია ბავშვთა მკვდლოვანობის პროცენტი.

ამხ. პეტროვი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, აღნიშნავს საექიმო პერსონალის ცუდ მატერიალურ მდგომარეობას, საშუალო ხელფასი ქალაქათ მშვიდობიან დროის ხელფასის 34 პროც. უდრის, ხოლო თუ ანგარიშიდან გამოვრიცხავთ მოსკოვს და პეტროგრადს, ხელფასის პროცენტი მშვიდობიან დროის ნორმასთან შედარებით მხოლოდ 25 პროც. შეადგენს. სოფლის ექიმები იღებენ მშვიდობიან დროის ხელფასის 6 პროცენტს; ამით აიხსნება საექიმო პერსონალის ლტოლვა სოფლიდან ქალაქებში და დედაქალაქში.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. სემაშკო აბათილებს ბრალდებას, თითქოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მუშათა საექიმო დახმარებისათვის არსებულ დაზღვევის ფონდს ქვეყნის საერთო საექიმო მოთხოვნილებებს ახმარებდეს. დაზღვევის ფონდი, პირიქით, დაზღვეულთა საექიმო დახმარებისათვისაც კი არ კმარა. უარყოფს რა დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების გამოყოფის საჭიროებას, ამხ. სემაშკო, ამხ. ლენინის აზრის თანახმად, აღნიშნავს, რომ საექიმო ორგანიზაციათა მთლიანობა ოქტომბრის რევოლიუციის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს.

მომხსენებელი ეთანხმება იმ აზრს, რომ საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს კურორტების მდგომარეობას და გადიდებულ იქნას მუშათა საწოლების რიცხვი კურორტებში, მიმდინარე წელს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს არ მიუღია არავითარი სუბსიდია კურორტებში სახელმწიფო საწოლთა შესანახავათ. მიუხედავათ ამისა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა მაინც შესძლო მშრომელთა საექიმოდ რამოდენიმე ათასი უფასო ადგილის უზრუნველყოფა. ჯანმრთელობის სახკომატის აპარატი შემცირებულია უკიდურეს საზღვრამდე.

ბავშვობისა და დედობრივობის დაცვის დარგს გაუმჯობესება ეჩნევა როგორც ღირსების, ისე რაოდენობის მხრივ.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საექიმო დაწესებულებათ განვითარებას სოფლად. „გლეხთა შორის აგიტაციის საუკეთესო საშუალებას საექიმო მომარაგების საქმის გაუმჯობესება წარმოადგენს. საერთოდ,—ამბობს ამხ. სემაშკო,—ჩვენ თამამად შეგვიძლია უთხრათ მშრომელს, რომ იმ დახმარებას, რომელსაც ის ეხლა იღებს, იგი ვერ მიიღებდა ძველი რეჟიმის დროს. მაშინ არ არსებობდა არც დახმარება შინ, და არც სანიტარული. ის ყურადღება, რომელსაც სესია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოხსენებას უთმობს, იმის დამამტკიცებელია, რომ ქვეყნის ცოცხალ რესურსების დაცვის საკითხი საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანას წარმოადგენს“.

ჯანმრთელობის სახკომის მოხსენების გამო, სესიამ ერთხმად მიიღო ამხ. სემაშკოს თეზისები და დაავალა სრულიად კავშირის ცაკს მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების გასაძლიერებელ ზომების მიღება.

**საბეითლო კოდექსი.**

შემდეგ სესიამ მოისმინა ამხ. სვიდერსკის მოხსენება საბეითლო კოდექსის შესახებ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობების მიხედვით 1 ოქტომბრისათვის საბეითლო საექიმო პერსონალი მთელს რესპუბლიკაში შესდგება 1 673 კაცისაგან, ხოლო ფერშალთა პერსონალი—1.722 კაცისაგან. ფერშალთა პერსონალის შემცირება გამოწვეულია ნივთიერ სახსრის უქონლობით. მიუხედავათ საბეითლო ორგანიზაციისა და რესურსების შედარებით სიმცირისა, ამ დარგში მუშაობამ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო, მაგალითად, საქონლის ჭირთან ბრძოლა 1920 წელს 113.000 სულ საქონელზე გავრცელდა, 1923 წელში კი—4.000 სულზე.

# ამიერ კავკასიის ფედერაციაში

### აზერბეიჯანი

**დახმარება ლენინის სახელობის კლუბს.**

**ბაქო.** 3 ნოემბერი. ბაქოს საბჭომ დაადგინა სუბსიდია დაუნიშნოს ლენინის სახელობის კლუბს.

**დროშა კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირს.**

**შემახა.** 3 ნოემბერი. შემახის სამაზრო კომიტეტმა კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრებს წითელი დროშა გადასცა.

**ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.**

**ბაქო.** 3 ნოემბერი. 30 31 ოქტომბერს გაიტანიათ: ბაქოდან ასტრახანში 1249 817 ფ. შავი ნავთი და 157,700 ფ. ნავთი; ბაქოდან კრასნოვოდსკში 30,914 ფ. შავი ნავთი და 3,124 ფ. თეთრი ნავთი; რაკუშიდან ასტრახანში—464,000 ფ. შავი ნავთი.

**ქარტეხილი.**

**ბაქო.** 3 ნოემბერი. კასპიის ზღვის ჩრდილო ნაწილში ქარტეხილი მძვინვარებს, რის გამოც 12 ფუტიან რეიდზე თავი მოიყარა 32 ნავთის საზიდმა გემმა. ვოლგის არხიდან წყლის ძლიერი უკუქცევა აფერხებს ბარჟების მიყენებას რეიდზე, რის გამოც გადმოტვირთვა არ ხერხდება.

### სომხეთი

**საჰაერო ფლოტის აგება.**

**ერევანი.** 31 ნოემბერი. საბჭოთა მოსამსახურეების პროფკავშირთა ცენტრალურმა გამგეობამ სხვადასხვა დაწესებულებებიდან და თავის ადგილობრივ კომიტეტებისაგან მიიღო საჰაერო ფლოტის ასაგებად, სახელწოდებით „ხორურდაინ აიასტან“—113 ჩერვონ.

**მილიციის დღე.**

**ერევანი.** 4 ნოემბერი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სომხეთის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რათა იდღესასწაულონ 15 დეკემბერი, როგორც დღე საბჭოთა სომხეთის მილიციის დაარსებისა.

**დაშნაკელთა თვითლიკვიდაცია.**

**ერევანი.** 4 ნოემბერი. ბაქოდან ერევანში ჩამოვიდა ბაქოს დაშნაკელთა სალიკვიდაციო ბიუროს წარმომადგენელი, საერთო სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

**ეჩმიაძინი.** 4 ნოემბერი. 4 ნოემბერს ეჩმიაძინში გაიხსნება ყოფილ დაშნაკელთა სამაზრო ყრილობა.

**გუმბრი.** 4 ნოემბერი. ამ დღეებში გაიხსნება გუმბრის მაზრის ყოფილ დაშნაკელთა ყრილობა.

# პარტიული ცხოვრება

## ამხ. ნ. რობაქიძის და ამხ. ს. კორკოტოვის ხსოვნას.

მიმდინარე წლის 6 ნოემბერს შესრულდება ერთი წელი მას შემდეგ, რაც ბანდიტებმა დ. ჩხარში მოჰკლეს კომპარტიის ორი საუკეთესო წევრები: ამხ. ნ. რობაქიძე და ამხ. ს. კორკოტოვი.

გასულ წლის 6 ნოემბერს დღის 1 საათზე აღმასკომში გაცხარებული მუშაობის დროს, ძალზე მთვრალმა, ძველმა ბანდიტმა თავადმა ბაჭუკი იშხნელმა ვინტოვკიდან გასროლილი ტყვიით განგმირა ამხ. რობაქიძე. მას სიტყვაც აღარ დასცალდა და სიკვდილის დროს ხელში შერჩა კალმისტარი.

აღმასკომთან იქვე ახლოს კომკავშირის რაიკომში ემზადებოდენ ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისათვის და სროლის ხმაზე რაიკომიდან გამოვარდნილ ამხ. ს. კორკოტოვს წინ ხვდება ზემოხსენებული იშხნელი და მასაც უსპობს სიცოცხლეს.

ამხ ნ. რობაქიძე და ამხ. ს. კორკოტოვი, პირველი—ხნოვანობით 28 წლის და მეორე კი-22 წლის იყვნენ ულარიბესი გლეხისშვილები, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამდე აწარმოებდენ არალეგალურ პარტიულ მუშაობას და შემდეგ საუკეთესო და ენერგიულ პარტმუშაკებათ ითვლებოდენ ადგილობრივ ორგანიზაციაში.

კომპარტიის ყოველგვარი დავალება უყოყმანოთ სრულდებოდა ორივე ამხანაგების მიერ.

მათ სახელობაზე ჩხარში არსებობს კლუბი. დღეს, 6 ნოემბერს, ჩხარის ორგანიზაცია მათ ცხედრებს გადაიტანს ახლად მოწყობილ ძმათა სასაფლაოზე.

ჩხარის რაიონის მშრომელი გლეხობა კომპარტიის და კომკავშირის წევრები კარგათ იცნობდნენ ზემოხსენებულ ორივე ამხანაგებს, როგორც საუკეთესო მებრძოლებს კომუნიზმისათვის და არასოდეს არ დაივიწყებენ ბანდიტიზმთან ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებს: ნ. რობაქიძეს და ს. კორკოტოვს.

**ამხანაგი.**

## რაჭის სამაზრო პარტკონფერენცია

23 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, გაიხსნა რაჭის მეოთხე ლეგალური პარტკონფერენცია, რომელსაც დაესწრო ცეკას წარმომადგენელი ალ. გეგეჭკორი. კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: პარმენ წულუკიძე, კან. გობეჯიშვილი და ალექსანდრე ჭელიძე სამდივნოში: ამბროსი გამყრელიძე და ლ. სალუქვაძე. სამანდატო კომისიაში: თ. სალარაძე, ვ. შავლაძე და ნ. ენუქიძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება მომენტზე.
2. მაზრკომის და სარევიზიო კომისიის ანგარიშები.
3. მაზრების რაიონებად დაყოფა და საბჭოთა არჩევნები.
4. ანტირელიგიური პროპაგანდა და ჩვენი მომავალი ტაქტიკა.
5. გლეხობის მდგომარეობა.
6. ანტისაბჭოთა პარტიების გახრწნა.
7. სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
8. მიმდინარე საკითხები.

მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. გეგეჭკორმა—რომელმაც გააცნო კონფერენციას დღევანდელი მდგომარეობა დასავლეთში და კერძოთ კი გერმანიაში და იქ მომქმედ ძალთა განწყობილება, დაახასიათა გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლის მნიშვნელობა სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებისთვის მსოფლიო მასშტაბით. დელეგატები დიდათ კმაყოფილი დარჩენ ამხ. გეგეჭკორის მოხსენებით და მრავალი შეკითხვები მისცეს, რომელზედაც მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: რაჭის მეოთხე ლეგალურმა პარტკონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. გეგეჭკორის, მომენტზე და კერძოთ კი, გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლის შესახებ, მოუწოდებს კომპარტიის რაჭის ორგანიზაციის წევრებს ძალების გაერთიანებისაკენ—გერმანელ მუშების დასახმარებლად. გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს, გაუმარჯოს რევოლიუციას გერმანეთში.

მაზრკომის ანგარიშის შესახებ მოხსენებას აკეთებს მაზრკომის პ. მ. მდივანი ამხ. კანდიტ. გობეჯიშვილი.

მისი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მაზრკომი დიდ ყურადღებას აქცევდა გლეხობასთან პარტიის კავშირის განმტკიცების საკითხს თანახმად მე-12-ე პარტყრილობის დადგენილებისა. ამ მიმართულებით მაზრკომის უშუალო ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა, აიგო ხიდები, გაყვანილი და შეკეთებული იქნა გზები—გატარებული იქნა კამპანიები ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ და სხვა. გაძლიერდა მუშაობა კოოპერატივებში და საბჭოთა დაწესებულებებში.

წმინდა პარტიული მუშაობაც დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გამყრელიძემ არსებითად დაადასტურა ამხ. გობეჯიშვილის მოხსენება, რის შემდეგ კონფერენციის მიერ მაზრკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

მაზრების რაიონებათ დაყოფის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გეგეჭკორმა და განუმარტა დამსწრეებს თუ რამ გამოიწვია მაზრების რაიონებად დაყოფა და რა მნიშვნელობა აქვს ამ დაყოფას, როგორც სახელმწიფოს ბიუჯეტის გაუმჯობესებისათვის და ცენტრის ადგილებთან დაახლოვების საკითხში. ამხ. ვლ. მესხის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რაჭის მაზრაში დახურულია 100 პროც. ეკლესიების და საერთოდ ამ მიმართულებით მუშაობა მიზანშეწონილად სწარმოებდა, შემდეგ მან წარმოადგინა გეგმა მომავალი მუშაობისა, რომელიც მიღებული იქნა კონფერენციის მიერ.

გლეხთა მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. წულუკიძე, რომელიც ვრცლად შეეხო საერთოდ გლეხობის გაღარიბების მიზეზებს და კერძოთ რაჭის გლეხობის მეტად გაჭირვებულ მდგომარეობას. ამხანაგ წულუკიძემ წამოაყენა მოსაზრებები, რომელთა ცხოვრებაში გატარებით შესაძლოა გლეხთა მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება მაინც.

უმთავრესი დებულებები ამ მოხსენებისა შემდეგია: კოოპერატივებისათვის გრძელვადიანი სესხის მიცემა, სამაღმასკომისათვის უფლების მიცემა უღარიბესს გლეხობისათვის ხეტყის უფასოდ გაცემის შესახებ, გლეხთა საურთიერთო კომიტეტებისათვის სათანადო ყურადღების მიქცევა და სხვა.

ანტისაბჭოთა პარტიების გახრწნის შესახებ მოკლე ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. წულუკიძემ, რომელმაც განუმარტა კონფერენციას ის, თუ როგორი რღვევა და გახრწნა ხდება მოწინააღმდეგე პარტიებში და რით არის ეს გამოწვეული.

შემდეგ ამისა არჩეული იქნა ახალი სამაზრო კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

საერთოდ კონფერენცია მწყობრად და საქმიანად ჩატარდა. ვუსურვებთ ახალ მაზრკომს კონფერენციის დავალებების პირნათლად შესრულებას.

**რაჭველი.**

# ეკონომიური ცხოვრება

**ვალიუტის კურსი ტფილისში.**

(5 ნოემბერი).

| | |
|---|---|
| ჩერვონცები — — — | 96,000 |
| გირ. სტერლინგ. ეფექტ. | 89,000 |
| ჩეკები — | 84,500 |
| დოლარები ეფექტ. — | 21,200 |
| ჩეკები | 19.500 |
| ოსმ. ქალ. ლირა | 10.800 |
| იტალიური ლირა | 600 |
| ფრანგული ფრანკი | 900 |
| საბჭ. ფულის ნიშნები | 13,5 |

**მუშკოპის ფასები.**

(5 ნოემბერი.)

პური 1 ხარ.—500 ათ., პური 2 ხარ.—400, ძროხის ხორცი—1350 მ. შაქარი რაფინადი 4 660 ათ., ფხვნილი შაქარი 3150 ათ., მაკარონი—1520 ათ., კარტოფილი—125 ათ.

**ტფილისის ბაზრის ფასები.**

პური 1 ხარ.—700-800, პური 2 ხარ.—500, ძროხის ხორცი—1400, ცხვრის ხორცი—1.800, შაქარი რაფინადი—4600, ფხვნილი შაქარი—3300 მან., ბრინჯი ალდაშის—900, მაკარონი 1600, კარტოფილი—150-200.

**საქონლის ბაზრის განწყობილება.**

დღეს საქონლის ბაზრებს შესამჩნევი ცვლილება არ ეტყობა.

**ვალიუტის ბაზრის განწყობილება.**

დღეს ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი უცვლელი დარჩა.

**ბირჟის გარეშე გარიგებანი.**

1 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 5 გარიგება. სულ 19969 ჩერვ. მან. თანხისა.

**ბირჟის მიწოდება.**

ხორბალი 70 ვაგონი. ქერი 60 ვაგონი. თამბაქო ლაგოდეხის 1 და 2 ხარ. ალდაშის ბრინჯი. ფხვნილი შაქარი რუს. შაბიამანი. კანიფოლი. სპილენძი. ჩაი. მანუფაქტურა რუს. იტალიური მანუფ. სკიპიდარი ფრანგ. ქიმიური პროდუქცია. ფანჯრის მინა. კაუსტიკური სოდა. რუს. ასანთი. საპონი. ოლიფის ზეთი. ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირას ზეთი. რკინეული. ელექტრო-ტეხნიკური მასალა. სალომასი, ქვა მარილი ნახიჩევანის. ყუბანის ფქვილი 1 ხარ. ნარმა. ქლორ-ცინკი. გრეჩა—165 ვაგონი. მახუდო—10 ვაგონი. ფეტვი—47 ვაგონი.

**ბირჟის მოთხოვნილება.**

ტყავის ღვედები. რკინის გასაყრელები. სალომასი. მზესუმზირას ზეთი. საკანდიტერო ყუბანის ფქვილი. ტეხნიკური ცხიმი. ლურსმანი. ჩაი. ასანთი რუს.

**ოფიციალური გარიგებანი.**

დაპრესილი თივა—40 კაპ. ფუთი, ფრანკო სადგ. ყარაიაზი.

**მეტრიულ სისტემის გატარება ამიერ-კავკასიაში.**

ამიერ-კავკასიის საწონ-საზომთა მთავარმა კომისიამ უკვე დაამთავრა თავისი საორგანიზაციო მუშაობის ხანა და ეხლა შეუდგა რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებას. კომისია განიყოფება 4 განყოფილებათ: საორგანიზაციო, სატეხნიკო, საფინანსო და საადმინისტრაციო. ადგილობრივ რეფორმის გატარების მიზნით ყოველ რესპუბლიკაში იგზავნება ერთ-ერთი რწმუნებული, რომლებიც ტეხნიკურ ზედამხედველობას გაუწევენ ყოველგვარ საზომთა (მეტრის, გირების და სხ.) დამზადებას და აგრეთვე ერთ-ერთი ინსტრუქტორი—საერთო ხელმძღვანელობისთვის. ამ დღეებში საინსტრუქტორო აპარატი და რწმუნებულები შეუდგებიან ადგილობრივ მუშაობას. ამიერ-კავკ. მთავარმა კომისიამ ხელშეკრულება დადვა აზერბეიჯანის და სომხეთის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან საზომთა საჭირო რაოდენობის მომზადების შესახებ. ამგვარივე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან. საინსტრუქტორო განყოფილებასთან. არსებობს საგამომცემლო სექცია, რომელმაც უკვე გადათარგმნა ქართულ და სომხურ ენებზე ხვოლსონის ბროშიურა მეტრიულ სისტემის შესახებ.

# ტფილისის აღმასკომის სხდომა

შაბათს, 3 ნოემბერს, ამხ. სუხიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა აღმასკომის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში იყო:

1) აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოხსენება ტფილისის და მის მაზრაში განათლების საჭიროებაზე.
2) ტფილისის მაზრის რაიონებად დაყოფა.
3) საბჭოს გადარჩევა.
4) მიმდინარე საკითხები.

**სახალხო განათლების საჭიროება ტფილისსა და მის მაზრაში**

მოკლე მოხსენებას ამ საკითხის შესახებ კითხულობს განყოფილების გამგე ამხ. ქაცარავა, რომელიც აღნიშნავს სკოლის რეფორმებით გამოწვეულ ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებათ, რომელიც სწავლის საქმეს მეტად ართულებს.

საქმე იმაშია, რომ წრეულს ქალაქის შრ. სკოლა უნდა დაესრულებია 7,319 მოსწავლეს, რომელნიც ტეხნიკუმებში უნდა გადასულიყვნენ. მაგრამ შრომის სკოლის ცხრა წლედათ გადაკეთების შემდეგ ეს მოზარდნი რჩებიან იმავე სასწავლებლებში. ამავე დროს აუცილებელი იყო ახალი ჯგუფების მიღება... მთხოვნელთა რიცხვი ერთი ორად სჭარბობს ჩვენს განკარგულებაში მყოფ საშუალებებს. ჯერჯერობით მიღებულ იქნა 3,087 ბავშვი, ხოლო სკოლის გარეთ დარჩენილია 4232 ბავშვი. თუ ყველა მთხოვნელი დაკმაყოფილებულ იქნება, ქალაქს საზრუნავი ეყოლება 152 ჯგუფი, რომელიც ორ ნაწილად დაიყოფა. ერთი ნაწილი იმეცადინებს დილაობით, ხოლო მეორე საღამოობით.

ახალი ჯგუფების მიღება მოითხოვს პედაგოგიურ პერსონალის გადიდებას. საჭირო იქნება 152 ახალი მასწავლებელი, რომლების ნახევარი წლით შენახვა დაჯდება 26.352 ჩერვ. მანეთი, ტეხნიკური პერსონალი 50 კაცი (დარაჯები და სხვა) ნახევარი წლით დაჯდება 2 154 ჩერვ. მანეთი. საკლასო თანხების განათება საღამოს მომაცადინე 122 ჯგუფისთვის საჭიროებს 18 605 ჩერვ. მანეთს, ხოლო გათბობა—825 მანეთს. ახალი ჯგუფებისთვის თანხის გასაცემად დასჭირდება—21.584 ჩერვ. მანეთ.

**ხარჯები განათლების საჭიროებისათვის მაზრაში.**

მაზრიდან მიღებული ცნობებით წრეულს სასწავლებელში მიღების მსურველთა რაოდენობა მეტად დიდია შედარებით სხვა წლებთან. მთხოვნელთა დასაკმაყოფილებლად საჭიროა მაზრაში 48 ახალი ჯგუფისათვის 12 ახალი სკოლის გახსნა, რომელიც მოითხოვს 60 საშტატო მასწავლებელს და ტეხნიკურ პერსონალს, რიცხვით 10 კაცს.

60 მასწავლებლის ნახევარ წლის ჯამაგირი უდრის—10.398 მან. (ჩერვ.) ტეხნიკური პერსონალის—431 ჩერვ. მანეთს, გათბობა დაჯდება ნახევ. წლით—900 ჩერვ. მანეთი—სულ მაზრის ახალი საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილება დაჯდება—11,796 ჩერვონ. აქედან ქალაქს მოუხდება ტეხნიკური პერსონალის შესანახად და სხვა კომუნალურ ხარჯებისათვის—1331 მანეთის გაღება.

ამრიგათ ახალი საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილებისათვის ქალაქსა და მაზრაში სახელმწიფოს დასჭირდება 36 750 ჩერვ. მანეთის გადადება, ხოლო ქალაქის აღმასკომს (რომელიც მხოლოდ ტეხნიკური პერსონალის შენახვას და კომუნალურ ხარჯებს კისრულობს) 22 915 ჩერვ. მანეთს.

მცირეოდენი კამათის შემდეგ, აღმასკომმა დაადგინა იკისროს ახალი ჯგუფებისთვის საჭირო ტეხნიკური პერსონალის შესანახად და კომუნალური ხარჯების დასაფარავად აღნიშნულ თანხის გადადება, ხოლო დანარჩენი ხარჯების დაფარვა ეთხოვოს სახ. კომ. საბჭოს.

**ტფილისის მაზრის რაიონებად დაყოფა.**

ამ საკითხზე ინფორმაციული ხასიათის მოხსენებას აკეთებს ამხ. მესხი.

თანახმად გამოცემულ განკარგულებისა ტფილისის მაზრაში, როგორც ყველგან სათემო ერთეულები უქმდება და მათ ნაცვლად იქმნება ახალი სარაიონო ერთეულები. ტფილისის მაზრა დაყოფილია შვიდ სარაიონო ერთეულად, ნაცვლად 22 სათემო ერთეულისა: წალკის, მანგლისის, ალბულაღის, ასურეთის ყარაიაზის. ერძინის და გარეკახეთის რაიონებად.

**ტფილისის საბჭოს ახალი არჩევნებისთვის.**

ტფილისის საბჭოს ხელახალი არჩევნებისათვის აღმასკომმა დაამტკიცა საარჩევნო კომისია შემდეგ ამხანაგთა შემადგენლობით: სუხიშვილი ყურულაშვილი, ივანოვ კავკასკი, მესხი. ამ ამხანაგთა გარდა კომისიაში შევლენ წითელი არმიის, ახ. კომ. კავშირის და ქალთა განყოფ. თითო-თითო წარმომადგენელი.

**მიმდინარე საკითხები.**

აღმასკომმა, პრეზიდიუმის წევრად მოსკოვში გაწვეულ ამხანაგ ელენტის ნაცვლად, დაამტკიცა ამხ. ივანოვ-კავკასკი.

**გადასახადი შინამოსამსახურეთა დამქირავებელზე.**

2 აპრილის დეკრეტის თანახმად, აღმასკომმა დაადგინა შემოიღოს გადასახადი შინამოსამსახურეთა დამქირავებლებზე. დეკრეტის ძალით გადასახადიდან თავისუფალნი არიან მოქალაქენი, რომელიც ავადმყოფობის გამო მოვლას საჭიროებენ და საბჭოთა მოსამსახურეთა, რომელთაც ოჯახის და ბავშვების მოსავლელად სამსახურის გამო თავისუფალი დრო არა აქვთ.

სხდომა საღამოს 9 საათზე დასრულდა.

# დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

**გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.**

ამასთან ერთად გიგზავნით 223,500,000 მანეთს, რომელიც გაიღეს შემდეგმა პირებმა: სალარაძე თადეოზ—59,000,000 მან., ბერუჩევი აბეტიკ—5 მილ. მან., ბერუჩევი იოსებ—5 მილ. მან., ჭელიძე ალექსანდრე—20 მილ. მან., ჯაფარიძე სანდრო—55,500,000 მან., ბაქრაძე ჭიჭიკო—20 მილ. მან., ჯაფარიძე გიგუცა—59 მილ. მან.

**რაჭის სამაზრო პარტკომი.**

—

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის ცალკე საჯარიმო გუნდის კომშემადგენლობიდან გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ გაიღეს ერთი დღის სამუშაო ხელფასი:

ივანე შნეიდერმა—13 მილ. მან., პ. შუვალოვმა—13 მილ. მან., პ. ბატუევმა—8 მილ. მან., პ. სმიკოვმა—8 მილ. მან., ნიკიტ. შომკინმა 4 მილ. მან., იოს. დანილინმა—4 მილ. მან., ტიხ. ნებელსინჯა—4 მან., კოზანჩევმა—1 მილ. მან., კალაშნიკოვმა—6 მილ. მან., სულ 68 მილ. მანეთი.

**კომუჯრედის მდივანი.**

—

ამასთან ერთად გიგზავნით გერმანელ მუშების სასარგებლოდ შეგროვილ ერთი დღის ხელფასს შემდეგი რაოდენობით: მე 5 თე სამილიციო რაიონის თანამშრომლებისაგან—67610000 მ., მე 6-ე სამილიციო რაიონიდან 46 000,000 მან., მე 9-ე სამილიციო რაიონიდან 59 500 000 მან., მე-13-ე სამილიციო რაიონიდან 215000000 მან., სულ 391.160 000 მ.

აღნიშნულ სამილიციო რაიონების თანამშრომლები იწვევენ დანარჩენ სამილიციო რაიონებს და აგრეთვე ყველა დაწესებულებების თანამშრომლებს, რომლებსაც არ გაუღიათ თავისი წვლილი გერმანელ მუშების სასარგებლოდ.

**მილიციის ადგილკომი.**

—

ამასთანავე ერთად გიგზავნით მცირე თანხას, ოცდა თხუთმეტ მილიონ (35 000 000) მანეთს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ შეკრებილს ტფილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებლის მოსწავლეთა შორის, რომელთა დიდი უმრავლესობა ღარიბეს მუშებისა და გლეხების შვილებია.

**პოლიტ. სასწ. გამგე.**

—

მე, პაწია ბავშვი ჩემი დედის თამარას დავალებით ვწირავ გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს 2 ნახ. მიხალს რგოლის ბეჭდს და ვიწვევ შემდეგ პირებს: ოზურგეთიდან: ლეილა თავართქილაძეს, მაშიკო დიმიტრის ძე სიმვულიძეს, სალომე ბეჟანის ასულს ხუნდაძეს, ალექსანდრე მიხეილის ძე მკურნალს, ზინა შალვას ასულს გოგეშვილს, ტუპე ნიკოლოზის ასულს დოლიძეს, ალექსანდრე დათიკოს ძე ბლაგიძეს, რენა ჭეიშვილს, ანიკო გრიგოლის ასულს მგალობლიშვილს, ტატიანა [illegible] ასულს გუგენაძეს და ქენია ანდიას ასულს დოლიძეს. ტფილისიდან: თამარა ფილიპეს ასულს მახარაძეს, ქეთო მამიას ასულს ორახელაშვილს, ლილი გრიშას ასულს გოგიტიშვილს და გაიოზ ელიზბარის-ძე კალანდაძეს.

გამოწვეულებს უფლება აქვთ შესწირონ მეტიც როგორც ბეჭდებით, ისე ბონებით.

**გიზო თედორეს ძე დოლიძე.**

## შემოვიდა 5 ნოემბერს:

1) რაჭის პარტკომი 223 500.000 მანეთი. 2) მე 13 სამილიციო რაიონის თანამშრომლები 215.000 000 მან. 3) ცალკე საჯარიმო ასეული 68 000.000 მან. 4) მე 5 სამილიციო რაიონის თანამშრომლები 67,610 000 მან. 5) მე-9 სამილიციო რაიონის თანამშრომლები 59 500 000 მან. 6) მე 6 სამილიციო რაიონის თანამშრომლები 46.000.000 მან. 7) ვ. კაკაბაძისაგან 35.000 000 მან. 8) გ. დოლიძე 1 ოქროს (რგოლი) ბეჭედი.

**სულ** 1 ოქროს რგოლის ბეჭედი და 714 610 000 მანეთი.

**წინეთ შემოსულით:** 304 ჩერვონეცი, 9 ნახ. გირ. ინგ. სტერლინგი, 30 ნახ. ოსმალური ქალ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 10 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგულე, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 34 ვერცხლის მანეთი, 2 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ვერცხლის რგოლი და 9 901.797 000 მანეთი.

# ქიმიკოსთა კავშირის სრულიად საქართველოს მესამე ყრილობა

**ყრილობის გახსნა.**

30 ოქტომბერს გაიხსნა ქიმიკოსთა კავშირის სრ. საქართველოს ყრილობა.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ბაბაჯანოვი, არაქელოვი, ბეკკერი და არარატიანი.

**დილის სხდომა.**

დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ტაკოევის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე. მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა გამოსთქვამს მზადყოფნას გერმანიის პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისთვის მსხვერპლის გასაღებად.

**კავშირის ცენტრ. კომიტეტის მოხსენება.**

ქიმიკოსთა კავშირის ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბეკკერი აღნიშნავს, რომ საქ. ქიმიკოსთა კავშირი უკანასკნელ ხანებში განმტკიცდა და თავისი მუშაობის მიხედვით ჩაითვლება სრ. რუსეთის ქიმიკოსთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო განყოფილებად. შემდეგ მომხსენებელი ჩერდება ნებაყოფლობით წევრობაზე, რომელზედაც გადასულია კავშირის წევრთა დიდი უმრავლესობა.

ყველა საკავშირო რესპუბლიკებში ქიმიკოსთა კავშირი აერთიანებს 152,044 მუშას, რომელთაგან 137 ათასი კავშირის წევრია ე. ი. 94,4 პროც., დანარჩენი 5,6 პროცენტი არაწევრია.

ქიმიკოსთა კავშირი ს. ს. რ. კავშირის მასშტაბით ერთად-ერთ მსხვილ ინდუსტრიალურ კავშირად ითვლება. კავშირის წევრთა 75 პროცენტი უკვე გადასულია ინდივიდუალურ წევრობაზე.

საურთიერთო დახმარების კასაში ჩაბმულია კავშირის წევრთა 60 პროცენტი, ხოლო წლის დასასრულისთვის განზრახულია წევრთა 100 პროცენტის კასაში ჩაბმა.

**კულტმუშაობა.**

საკავშირო მასშტაბით კავშირს აქვს 154 კლუბი, რომელშიაც მონაწილეობს კავშირის 533 წევრი.

ცენტ. კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროფმოძრაობის წრეების ქსელის გაფართოვებას არსებულ კლუბებთან.

**სატარიფო-ეკონომიური მუშაობა.**

კავშირის წევრთა 40 პროცენტზე ვრცელდება გენერალური კოლექტიური ხელშეკრულება. ცენტ. კომიტეტი ხელშეკრულებას ჰკრავს ცენტრალურ ტრესტებთან და მთელ საკავშირო რესპუბლიკებში აძლევს საერთო მიმართულებას ხელფასის პოლიტიკას.

დადებულ ხელშეკრულების მიხედვით ყველა საკავშირო რესპუბლიკებში ხელფასის ნორმა გადიდებულია.

ცენტ. კომიტეტის მუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში, ყრილობა აღნიშნავს ცენტ. კომიტეტის მუშაობის ნაყოფიერებას ქიმიური წარმოების მუშათა ინტერესების დაცვის საქმეში და აგრეთვე მთელ რიგ მიღწევებს საორგანიზაციო-სატარიფო მუშაობაში.

# ტფილისის და მისი მაზრის შრომის სკოლებისა და საბავშვო სახლების ხელმძღვანელთა კონფერენცია

სამშაბათი, 30 ოქტომბერი

**საღამოს სხდომა.**

**მოხსენებანი ფიზიკური აღზრდის შესახებ.**

ფიზიკურ აღზრდის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. სოკოლსკი იგი ეხება ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობას და შემდეგ ამ საკითხის გარშემო მოკლე ექსკურსიას ახდენს ძველსა და ახალს ისტორიაში. მოხსენებელი დაწვრილებით ჩერდება მეცხრამეტე საუკუნეზე. მოყავს სტატისტიკური ცნობები, თუ რომელ ერში როგორი ხასიათი ჰქონდა ფიზიკურ აღზრდას ამა თუ იმ დროს და ასახელებს აგრეთვე გამოჩენილ იდეოლოგებსა და ხელმძღვანელთ როგორც თეორიაში, აგრეთვე პრაქტიკაში. შემდეგ მომხსენებელი ეხება სხვადასხვა სისტემებს, რომელიც იყო გაბატონებული და ბოლოს გადადის რუსეთსა და საქართველოზე.

აქ მომხსენებელი იძლევა ცნობებს, თუ როგორ და სად ჩაისახეს სხვადასხვა ჯგუფები ფიზიკურ აღზრდისათვის

# მუშათა ცხოვრება

## მუშებმა ასეთი სამწუხარო შეცდომები არ უნდა დაუშვან

ხშირი არის ჩვენი მუშების ცხოვრებაში ისეთი მოვლენები, როდესაც ისინი კავშირის წევრობის გარეშე არიან დარჩენილნი. ბევრი ასეთი მუშები არიან დაქირავებულნი ამა თუ სპეკულიანტებთან. ხოლო ამ უკანასკნელებმა, რომ თავი გაინთავისუფლონ შრომის კანონების შესრულებისაგან მათ მიერ დაქირავებულ მუშებთან აწყობენ საქმეს ისე, რომ თითქოს ისინი (მუშები) მათი ამხანაგები იყონ—სავაჭროში იქნება ეს, თუ სახელოსნოში. ისინი საამისოდ ფიქტიურ ფორმალურ პირობებსაც სდებენ დაქირავებულებთან შრომის დაცვის ორგანიზაციების თვალის ასახვევად. ასეთ დამოკიდებულებას ისინი ამყარებენ უმთავრესად ისეთ მუშებთან, რომელთაც სამწუხაროდ და სავალალოდ არ ესმით ჯერ კიდევ კავშირის ძალა და მნიშვნელობა. მაგრამ მაშინ, როდესაც ასეთ დამოკიდებულებაში მყოფ მუშას უცრუებს იმედებს თავის დამქირავებელი შეპირებისამებრ ჯამაგირის მიუცემლობით მოტყუებულ—მუშას ბოლოს მაინც კავშირთან უხდება მისვლა და თავის გამყლეფელის დაბეზღება. ცხადია, კავშირები ასეთ შემთხვევაში მაინც ექომაგებიან მუშების ინტერესებს და აღადგენენ მათ შელახულ უფლებებში. ხოლო ასეთ მაგალითების განვლის შემდეგ მაინც არ უნდა ენდონ მუშები კერძო დამქირავებელთ და ასეთ მონურ დამოკიდებულებაში შესვლას და ადგილობრივ კავშირების დამოუკიდებლად არ მიექირავონ მათ.

**მუშკორი მ. ა.**

## უნდა ალაგმოს თავგასული „ხაზეინი“

(პროფკავშირის საყურადღებოდ).

გრიბოედოვის ქუჩაზე № 6-ში არის ეგრედ წოდებული „ტანკების“-ს შკოლა ვინმე ეტარიანის. კარგი ხანია აქ დაიწყო სამსახური მარგარიტა ავაქოვამ. ის იღებდა ძალიან ცოტა შრომის ხელფასს, რადგან ის არ იყო პროფკავშირის წევრი და არც იცოდა მისი მნიშვნელობა. როდესაც ნაცნობებმა მას აუხსნეს, თუ რა დიდი მიზნები აქვს პროფკავშირს, როგორ შეუძლია კავშირს დაეხმაროს მუშა-მოსამსახურეს, ავაქოვის ქალმა სიხარულით გასწია კავშირში ჩასაწერად და ჩაეწერა კიდევაც. მაგრამ დახეთ უბედურებას, მოქალაქე ეტარიანმა დაითხოვა ავაქოვის ქალი ამისთვის სამსახურიდან, როგორ თუ გაბედა მან კავშირში ჩაწერა. გაჯავრებული „ხაზეინი“ მას ეუბნებოდა: „თუ კავშირში ჩაეწერე, კავშირმა მოგცეს სამსახური“. იყო რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად კავშირი ამხ. ავაქოვს მისცემს ადგილს, მაგრამ კავშირი სამსახურის მოძებნამდე შეეცდება სამსახურში აღადგინოს ავაქოვის ქალი და ღირსეული პასუხიც გასცეს მოქალაქე ეტარიანს.

**მუშკორი წითელი.**

## რკინის გზის მთავარ-სახელოსნოში

1883 წელში აშენებული შერეული ტფილისის მთავარი სახელოსნოები, მიჩნეულია ორთქმავლების და რონოდების შესაკეთებლად. მიმდინარე დროსთან ერთად სახელოსნოს მიერ წამოყენებული მთელ რიგ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დამოკიდებული იყო სპეცების და იმ გარემოებისაგან, რომელშიაც იმყოფებოდ აღნიშნული სახელოსნოები, როგორც დაშორებული ცენტრისაგან, მაგრამ შემდეგში ფართო ქარხნული მრეწველობის მხრივ მისი საზღვარი თანდათანობით გაფართოვდა, სხვადასხვა დროს ახალი შენობების გაშენებით, და ამჟამად საერთო მოედანი, სახელოსნოების მიერ დაკავებული, შეიცავს 46,200, კვადრ. საჟ. აქედან 6 700 კვ. საჟენი, ე. ი. 14 ნახევარ პროცენტი საერთო მოედნისა დაკავებული აქვს დახურულ შენობებს, რომლებიც განაწილებულია ცეხებად.

დანარჩენი მოედანი, ზომით 39,500 კვ. საჟენი. (85,5 ნახევარი პროცენტი) გამოყოფილია, როგორც ორთქლმავალთა სამლებრო ცეხისათვის, აგრეთვე ამ ორთქლმავალ-რონოდების სადგომად, რომელთაც ესაჭიროებათ კაპიტალური შეკეთება და სხვა. უდიდესი რიცხვი ორთქლმავლებისა, რომელთა გაჩერებაც შეიძლებოდა ერთს და იმავე დროს შესაკეთებლად—უდრის—24 ს. საშუალოდ ყოველთვიურად სახელოსნოს მიერ შესაძლებელია გამოშვებულ იქნას კაპიტალურ შეკეთებიდან 5—6 ორთლქმავალი. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ამჟამად სახელოსნოში არსებულ ხელოსანთა შტატს და აგრეთვე მთელ რიგს სხვა პირობებისას, როგორც მაგალითად; მასალების უქონლობა და სხვა, რიცხვი ერთდროული შეკეთებისა რომ შეტრიალებულ იქნეს 18—20 ორთლქმავლზე ზევით, მაშინ, შეუძლებელი გახდება იმავე მოსაზრებით, ყოველთვიურად ორთლქმავლების გამოშვება 5 ზევით.

ამასთანავე ერთად საჭიროდ ვსთვლით, ავღნიშნოთ, რომ ამჟამად სახელოსნო არ არის მოწყობილი იმ რიგად, რომ შესძლოს იმ არაჩვეულებრივ მძლავრი ორთლქმავლების შეკეთება, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანებში შემოდის სახელოსნოში კაპიტალურ შეკეთებისათვის—მაგალითად სიგრძე გამოსწორებული გზისა, აგრეთვე მამოძრავებელი (ანუ მოძრავი) ელექტრონული ამწევი მანქანა ზომით საკმარისი არ არის, როგორც გასასწორებლად, აგრეთვე ორთქლმავალთ ცეხში ერთი ადგილიდან მეორეზედ გადასატანად. გარდა ამისა, სადგომი ადგილი სიმაღლით ნიბას არ აძლევს ორთლქმავალს არხზედ თავისუფლად გავლისათვის, რადგანაც ამაღლებულია ორთქლმავლის ქვაბი და სართქლე მისი ედება ჭერში გადებულ თავხეებს. ასეთი დეფექტები ცეხის მოწყობილობაში, ძალიან გლახა გავლენას ახდენს მუშაობაზე, მუშა ხელის და საათების გადიდებით.

**მუშკორი—ნ. რუხაძე**

## უკვე აცივდა და შეშა კი ჩვენ არა გვაქვს

(პროფკავშირის საყურადღებოდ).

ბევრჯერ დაწერილა „მუშათა ცხოვრებაში“ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ. ჯერ ერთი, რომ ჩვენ ძალიან მცირე ჯამაგირები გვაქვს და ზოგჯერ იმასაც დაგვიანებით ვიღებთ; ულუფები ჩვენ არ გვეძლევა. ნაკლებად ვართ ძალიან ტანსაცმლით, მასთან ზამთარიც უკვე კარზე მოგვადგა. ჩვენ არ გვაქვს საშუალება გავიდეთ ბაზარზე და ვიყიდოთ შეშა. ნახევრად ტიტველ-შიშველი ცოლშვილი დილით საბნიდან ვერ ბედავენ გამოსვლას. ეს ხდება აი ეხლა. რანაირი იქნება მათი მდგომარეობა დეკემბერში და იანვარში? ამაზე ღრმად ჩაფიქრებული მუშა-მოსამსახურე ეძლევა მწუხარებას, ვინაიდან მას არც სათბური ტანისამოსი და არც შეშა ზამთრისათვის არ მოეპოვება, საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და კავშირმა გამონახოს რაიმე საშუალება საჩქაროდ. შეშა უნდა მიეცეთ მუშებს—ნისიაობის სახით. ზამთარია მუშის და მოსამსახურის მოსისხლე მტერი და ამას უნდა ჩვენ შევებრძოლოთ საერთო ძალით. თითეულ მუშას არ შეუძლია ამ უბედურების თავიდან მოშორება. პროფკავშირი ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები.

**მუშკორი ალბერტაშვილი.**

## ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში

—30 ოქტომბერს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში მოხდა ამავე კლუბის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

ა) კლუბის დროებითი გამგეობის ანგარიში; ბ) საკლუბო მუშაობის ამოცანები; გ) ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები; დ) ერთდროული და თვიური საწევრო გადასახადი; ე) „ნოტა-ლიგადრო“.

პირველ საკითხის შესახებ ამხ. კნიშიევის და დიაკონენკოს მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დროებით არჩეულმა კლუბის გამგეობამ, მიუხედავად მატერიალურ და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზებისა, მაინც შესძლო ბევრი რამ გაეკეთებია მცირე ხნის განმავლობაში: თეატრისათვის შეძენილ იქნა ფარდა, შეკეთდა კლუბის შენობა, გამართულ იქნა 18 წარმოდგენა და რამოდენიმე კინო სეანსი, მოეწყო კულტწრეები და სხვა. პირველ ხანებში კლუბის წევრთა რიცხვი არ აღემატებოდა 13 კაცს. დღეს იგი გაიზარდა 400 კაცამდე დროებითი გამგეობის მოქმედება კრების მიერ მოწონებულ იქნა, რისთვისაც მას გამოუცხადა მადლობაც.

შემდეგ კრების მიერ არჩეულ იქნა კლუბის ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: 1) ლ. გვარალაძე, 2) ვართანოვი, 3) კნიშიევი, 4) ესაიაშვილი, 5) დიაკონენკო, 6) თავდიშვილი, 7) გრიბოვსკი, 8) წილოსანი 9) შმარედოვი, 10) მელიკოვა, 11) მრინბერგი და 12) ქეუნქუკოვი, სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: 1) სულავა, თვალჭრელიძე და პოლეჟაევი.

ამას გარდა დადგენილ იქნა წევრთათვის სავალდებულოდ ერთდროული საწევრო გადასახადი 25 კაპ. და თვიური 10 კ. ჩერვონცებით.

კრება დასრულდა ამხან. მარქარიანის მოხსენებით „ნოტა—ლიგა დროს“-ზე. მომხსენებელმა დაასაბუთა და ნათლად გამოარკვია პრინციპი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მნიშვნელობა და სხვა.

**ინფორმატორი—გ. ქ.**

## მუშის სახელით ქურდობა ყოვლად შეუწყნარებელია

(რკინ. საგანგებო კომისიის და მილიციის საყურადღებოდ)

ტფილისის სადგური ქურდებისათვის სწორედ ბუნაგად გადაქცეულა ესენი სარგებლობენ სადგურზედ მგზავრების დიდი სიმრავლით და ამ ხალხში არიან დაფანტულნი. განსაკუთრებით ეს სამაგიეროდ პირები იმ დროს იწყებენ მოქმედებას, როდესაც მატარებლები მოდიან. აქ ნივთებიან მგზავრებს ისინი წინ უდგებიან ვითომდა ადგილობრივი მუშები; (რომლებშიაც სამწუხაროდ ნახევარი ქურდებია) ყველა ერთად ხელს ჰკიდებს ბარგს, რომ ვითომდა ბარგი სახლამდე, ან ეტლამდის მიგიტანონ. გულუბრყვილო მგზავრი აძლევს მათ წამოსაღებად ხაბაკებს. ხშირად მოჩვენებით მუშა, ნამდვილად კი ქურდი სცილდება განგებ მგზავრს, სარგებლობს ხალხის სიმრავლით და მიაქვს ბარგი თავისთვის. საბრალო მგზავრი კი დაეძებს ამაოდ თავის ნივთებს. ქურდები ისე წათამამებულან, რომ მოტყუებას და ქურდობას აღარა სჯერდებიან და ხშირად ხელიდანაც სტაცებენ ხოლმე ნივთებს. საჭიროა რკ ნისგზის ადმინისტრაციამ ამ საზიზღარ მოვლენების წინააღმდეგ მიიღოს სასტიკი ზომები, რათა სადგურზედ და მის ირგვლივ არ დაეხეტებოდნენ ისეთი პირები, რომლებსაც არავითარი საქმე არა აქვთ სადგურთან.

**მუშკორი მ—ლი ნიკო.**

და უკანასკნელად ჰშლის სურათს, თუ როგორ დონეზე დგას დღეს ჩვენში ფიზიკური აღზრდა.

ბოლოს მომხსენებელი მიუთითებს იმ პრაქტიკულ გზებს, რომელზეც აუცილებელია სკოლისათვის ფიზიკური ვარჯიშობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ. მისი აზრით სკოლებიდან უნდა განიდევნოს ძველი, სამხედრო, უნტერ-ოფიცრული ვარჯიშობა, რომელიც არავითარ ინტერესს არ იწვევს და არც სასურველ მიზანს აღწევს. აქ უნდა ხდებოდეს პედაგოგიურ მეცნიერებათა ფართოდ გამოყენება და ყოველი ვარჯიში უნდა შეეფარდოს ბავშვის ჰასაკს ფიზიკური ვარჯიში უნდა დაუკავშირდეს კომპლექსურ მეთოდს, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ექსკურსიები და სხვა. აგრეთვე შესაძლებელია ზოგიერთ სიტყვითი მასალის (მაგ. ზღაპარი ცხოველთა ეპოსიდან) დასურათება თამაშით გადაქცევა და მაშასადამე ფიზიკურ ვარჯიშობისათვის გამოყენება. აქ ყველაფერი დამოკიდებულია მასწავლებელზე, რომელსაც ფიზიკური აღზრდის საქმე თეორეტიულადაც უნდა ესმოდეს.

**თ. ნიკოლაძის მოხსენება.**

ამავე საგანზე თანამომხსენებლად გამოდის თ. ნიკოლაძე, რომელიც უმთავრესად ჩერდება იმ მომენტზე, თუ როგორ არის დაყენებული ფიზიკური აღზრდის საქმე ჩვენს სკოლებში, აღნიშნავს მის ნაკლს და მიუთითებს პრაქტიკულ საშუალებებზე საქმის გასაუმჯობესებლად. თავის დებულებებს მომხსენებელი ასაბუთებს სხვადასხვა მაგალითებითა და მეცნიერთა აზრებით. მოხსენებათა შემდეგ ამ საკითხზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კონფერენცია სწყდება საღამოს 8 საათზე.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### მცენარეულობის გავრცელება და მზის ენერგია.

დარვინის თეორია ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობის და განვითარების შესახებ, ვერ იძლეოდა პასუხს ყველა იმ კითხვებზე, რომლებიც წარმოშვა რევოლიუციამ თანამედროვე მეცნიერებაში. რადიო აქტიურმა მოვლენებმა, შემდეგ ეინშტეინის ცნობებმა მატერიის ბუნების და სინათლის მატერიალური ხასიათის შესახებ (სხივოსნური ენერგია) მისმა შეფარდებულობის თეორიამ და სხვა აღმოჩენებმა, მეცნიერების წინაშე წამოაყენეს სრულიად ახალი პერსპექტივები.

ახალი შეხედულებები ევოლიუციის მიზეზების შესახებ, რომელიც წამოაყენა რუსმა მეცნიერმა სტავროვსკიმ, საკითხს სულ სხვა ნიადაგზე აყენებს.

სტავროვსკის დასკვნები ასეთია: ორგანიული სამყაროს მთელი პროგრესიული განვითარების შედეგები გამოჩნდა ამ გზის უკანასკნელ ეტაპში, ე. ი. განვითარების თანამედროვე პერიოდში. ყველამ იცის, რომ თბილი და ცხელი ზოლები დედამიწაზე მდიდარი მცენარეულობით და უმაღლესი ცხოველებით, რამდენათაც უახლოვდებით ჩრდილოეთს, იმდენათ მწირია ბუნება, იმდენათ ღარიბია ცხოველთა სამყარო, ამის მიზეზი შეიძლება იყოს მხოლოდ მზის სხივების ენერგია. მზე უხვად აფრქვევს თავის სხივებს ტროპიკებზე და ნაკლებათ ჩრდილოეთით ასეთი დამოკიდებულება ცხოვრების განვითარების დონესა და მზის სხივების ენერგიას შორის, სრულიად ბუნებრივია რადგან ბიოლოგიის მიერ მტკიცედ არის გამორკვეული, რომ ორგანიული სამყარო მხოლოდ ამ სხივების მოქმედების პროდუქციაა.

ასეთი კანონზომიერება ცხოვრების მოვლენებისა სწორია არა მარტო სივრცის არამედ დროის მიხედვითაც, მაგალითად დედამიწის პირველყოფილ პერიოდში, როცა ცხოვრება დედამიწაზე სუსტად იყო განვითარებული, დედამიწას სუსტად წვდებოდა მზის სხივები, რადგან მას ხელს უშლიდა ორთქლის და სხვა გაზების ფენები. მხოლოდ თანდათანობით, დედამიწის გაციებასთან და ატმოსფერის გაწმენდასთან ერთად, დედამიწას უფრო და უფრო უხვად წვდებოდა მზის სხივები, რაც ხელს უწყობდა მასზე უფრო რთული ცხოვრების განვითარებას. ამრიგად ორგანიული სამყაროს გრანდიოზული ევოლიუციის მიზეზია მზის ენერგია, რომლის მატერიალურ მხარეზე ლაპარაკობს ეინშტეინი.

### ელექტრონის რამდენი ენერგია იხარჯება დედამიწაზე.

ამერიკის ოფიციალური სტატისტიკური ცნობებით 1920 წელში დახარჯული ელექტრონის ენერგიის რაოდენობა უდრიდა 99,456 500,000 კილოუატ-სათს. ამ რაოდენობიდან განათებაზე დაიხარჯა 15 და სამი მეათედი პროცენტი. ელექტრონის ენერგიის ხარჯვის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს შვეიცარიას.

ეს ნათლად სჩანს ქვემოთმოყვანილი ცხრილიდან:

წლის განმავლობაში ერთ კაცზე იხარჯება ელექტრონის ენერგია (კილოუატ-საათ.)

შვეიცარია—700, კანადა—612, ნორვეგია—493, შეერთებული შტატები—472, შვეცია—364, საფრანგეთი—147, გერმანია—141, დედამიწაზე მცხოვრებ 1,720 მილიონი სულიდან მხოლოდ ექვსნახევარი პროცენტი ცხოვრობს ელექტრონით განათებულ ბინებში.

1922 წელს შეერთებულ შტატებში იმუშავებდენ თითქმის 50 პროცენტს მთელი ელექტრონის ენერგიისას, რომელიც მუშავდება მსოფლიოში, გერმანია — 8 და ექვს მეათედ პროცენტს, იაპონია—6 და ცხრა მეათედს, ინგლისი—6 და ოთხ მეათედს, საფრანგეთი—5 და 4 მეათედს, კანადა—5 და ერთ მეათედ პროცენტს.

# ქრონიკა

— **7 ნოემბერი უქმე დღეა.** ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე დღესასწაულის გამო ყველა წარმოება-დაწესებულება 7 ნოემბერს უნდა იქნას დახურული, გარდა თეატრებისა, კინო-თეატრებისა, კლუბებისა და იმ წარმოებებისა, რომლებიც მუშაობენ წყალსადენზე და განათებაზე.

— **სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში.** სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში დღეს, 6 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე გაიმართება მოხსენება და საღამო-მოგონება ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავად; ყველა პოლიტ-განათლების მუშაკთ ევალებათ დაესწრონ ხსენებულ საღამოს.

— **საქართველოს საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, ნოემბრის 6, საღამოს 7 საათზე, სამეცნიერო ცენტრო-არქივის დარბაზში (ოლღას ქუჩა № 48) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც ლ. მელიქსეტბეგი წაიკითხავს მოხსენებებს: ა) ძველი მხატვრობა გარე კახეთში და ბ) კაწარეთი. კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **შრომის დაცვის კანონების დამრღვევისათვის.** ქუთაისის შრომის დაცვის განყოფილებამ სექტემბრის განმავლობაში პასუხისგებაში მისცა 6 ვაჭარი შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის.

— **უმუშევართა მოძრაობა ქუთაისის მაზრაში.** სექტემბრის განმავლობაში საერთო სიაში აღრიცხული იქნა 583 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 79 უმუშევარი, ამავე ხნის განმავლობაში დახმარება მიეცა 26 უმუშევარს.

— **დახმარება დაზღვეულებს.** სექტემბერში დახმარება აღმოუჩინათ 180 ავადმყოფს 19,108,294,000 მან. რაოდენობით, მშობიარების გამო 20 უმუშევარს მიეცა 1,983,195,000 მან, 216 უმუშევარს რძის ფულის სახით 4,278,280,000 მან, გარდაცვალების გამო—1,153 605,000 მ. და პენსიის სახით—556,051, 00 მან.

— **ტფილისის მაზრის რაიონებად დაყოფა.** 3 ნოემბერს ქ. აღმასკომის პლენუმმა მიიღო ტფილისის მაზრის რაიონებად დაყოფის პროექტი. მთელს მაზრაში იქნება 22 სოფლის გლეხთა საბჭო და 7 რაიონული აღმასკომი.

— **სახალხო განათლება.** ტფ. სკოლის გარეშე დარჩა 4,232 ბავშვი, რომელთათვის აღმასკომის მიერ განზრახულია არსებულ სკოლებთან გაიხსნას ახალი კლასები.

— **ოქტომბრის დღესასწაულისათვის.** 7 ნოემბერს ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად ყველა სამკითხველოებში გამოფენილი იქნება წიგნები რევოლიუციაზე, სამხატვრო პლაკატები და ჟურნალები. დიდუბეში და დიდ მოედანზე შესდგება აგიტ-მიტინგები.

— **ახალი სკოლები.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ტფილისის მაზრაში გახსნას 12 ახალი სკოლა.

— **გადასახადი იმ პირებზე, ვისაც ხელზე მოსამსახურენი ჰყავს.** ქ. აღმასკომის პლენუმმა დაადგინა შემოიღოს გადასახადი იმ პირებზე, ვისაც ჰყავს ხელზე მოსამსახურე.

— **სადარაბო გადასახადები წყნეთში.** ქალ. აღმასკომმა დაადასტურა წყნეთის აღმასკომის მიერ დაწესებული სადარაბო გადასახადები, ვინაიდან უკანასკნელ საბინაო დეკრეტის ძალით საამისო უფლება ენიჭებათ ადგილობრივ აღმასკომებს.

— **შრომის ბირჟა.** 3 ნოემბერს შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე გამოცხადა—338 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—87. სამუშევარზე გაიგზავნა—54 უმუშევარი.

**შემთხვევები.**

— დაპატიმრება ტფ. მილიციის სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის მეეტლე კალმიკოვი დაპატიმრებული იქნა ერთი თვით.

— ქურდობა. 1 ნოემბერს, ბარიატინის ქ. № 6, გაქურდეს მოქ. მარიამ თელიას ბინა. წაღებულია ერთი მილიარდის ნივთები.

— უბედური შემთხვევა. 3 ნოემბერს, დილის 8 საათზე ციციანოვის აღმართზე, ნავთლუღიდან მომავალი საბარგო ტრამვაის ვაგონი გადასცდა ლიანდაგს და გადავარდა აღნიშნულ სიმაღლიდან მუხრანის მოედანზე. ვაგონი სულ დაიმსხვრა.—სასიკვდილოდ დაშავდენ მილიციელი სოლომონ გიორგობიანი, ტრამვაის მუშები—თურქაძე და ავეტისოვი.

— თავის მოწამვლა. 3 ნოემბერს, დღის 3 საათზე, პავლოვის ქუჩა № 7, მოქ. მარიამ ბრაჟუვსკოვისამ თავი მოიწამლა. მიზეზი გამოურკვეველია.

— ტრამვაის მსხვერპლი 3 ნოემბერს, დილის 10 საათზე მალაკნის ქუჩაზე, ტრამვაის ვაგონმა გასრისა 7 წლის ბავშვი გაიანე ხაჩინიანცი. ვატმანი დაატუსაღეს.

—ბოროტმოქმედების შეპყრობა. 3 ნოემბერს ანდრეევის ქუჩაზე შეიპყრეს ორი უცნობი პირი, რომლებიც № 57 სახლის კარებს არგებდენ გასაღებებს. გაჩხრეკის დროს ბოროტგამზრახველნი აღმოჩნდენ სერგო სევჩენკო და პავლე ორდენკოვი, რომელთაც უპოვეს სხვადასხვა ზომის გასაღებები და ბებუთი.

— ქურდის შეპყრობა. 2. ნოემბერს შეიპყრეს მანუკა არუთინოვი, რომელსაც ბრალი ედება სხვადასხვა ქურდობაში.

# ხელოვნება

## სახელმწიფო ოპერა

### „სოფლის პატიოსნება“—მასკანის

პოპულიარულ ოპერის „სოფლის პატიოსნების“ განახლება სახელმწიფო ოპერის სცენაზე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლათ. არ იყო სიმტკიცე, მკაფიო მელოდიური სურათი და დინამიკა ორკესტრში, თუმცა ორკესტრს დირიჟორობდა ვანო ფალიაშვილი, რომელმაც მიაჩვია აუდიტორია საუკეთესო შესრულებებს ორკესტრის მხრივ. ამ ღამეს ორკესტრში არ სჩანდა ხმოვანება, რაც უეჭველათ შემთხვევითი მოვლენაა, რადგან ვანო ფალიაშვილი თავის საქმის ოსტატია, ის ღრმა და მგრძნობიერი მუსიკოსია.

კარგათ იყო შესრულებული მშვენიერი intermezzo.

დამაკმაყოფილებლათ ვერ იყო შესრულებული მოქ. მოსინის მიერ (ტურრიდუ) პირველი სერენადა კულისებს იქით, ეს სერენადა მისალმება საყვარელ ქალისადმი,—ის შესრულებული უნდა იყოს დიდის განწყობილებით და მის შესრულების დროს მომღერალი არ უნდა ეწეოდეს ხმის ფარსიროვკას, როგორც ამას სჩადის მოქ მოსინი. გაუგებარია რისთვის დასჭირდა მომღერალს ხმის ფარსიროვკა, მას ისედაც ძლიერი და ხმოვანი ხმა აქვს, სერენადა უმჯობესია შესრულებულ იქნეს mezzovoce-თი და კანტილენის გამოყოფით.

მოქ. ქარცივაძე, როგორც ჰგავს, ავათმყოფი მღერის—ეს უკვე სჩანდა აიდაში მის მიერ ამონასროს პარტიის შესრულების დროს. ამას წინათ ჩვენ ავღნიშნეთ, რომ მოქ. ქარცივაძე წარმატებით მიდის წინ ხმის ტეხნიკის მხრივ და უკეთეს კანტილენასა და ფრაზიროვკას მიაღწია. მაგრამ უკანასკნელ ორ გამოსვლის დროს ჩვენ ვერ ვამჩნევთ დამთავრებულ შესრულებას—არ არის გამჭვირვალობა ხმაში, მკრთალია მელოდიური სურათი. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს მომღერალმა.

მეტად სუსტი ლოლლაა—მოქ. თუმანოვისა—მახარაძე. გვიკვირს, როგორ ვერ შესძლო მომღერალმა ქალმა ასეთი პატარა პარტიის შედარებით კარგათ შესრულება. მომღერალი ვერ არის მტკიცე მუსიკალურ ტექსტში (ფინალი) და ის რიტმიულათ ვერ მღერის. სცენიური გადმოცემის მხრივ მოქ. თუმანოვისა—მახარაძე ეფექტიური ლოლლაა.

მოხუც ლუჩიის დამთავრებული სცენიური სახე მოგვცა მოქ. დობრჟანსკაიამ, ვოკალური გადმოცემაც სრულიად მისაღებია. მოქ. დობრჟანსკაია საერთოდ კეთილსინდისიერი ამსრულებელია მეორე პარტიების.

სანტუცცის მთავარ პარტიის ამსრულებელმა მოქ. პანკრატოვამ იხსნა ოპერა მარცხისაგან. ნიჭიერმა მომღერალმა და მსახიობმა ერთბაშად ვერ დაიპყრო აუდიტორია. მთელი თავისი ვოკალური და სცენიური ნიჭი მსახიობმა გამოიჩინა მხოლოდ მეორე სცენაში და შემდეგ ოპერის ბოლომდის. ვოკალურ გადმოცემაში მთელი გამმა იყო განცდის, ტანჯვის, მედარის, მუქარის და ყველაფერი ეს მეტათ უბრალოთ და ნამდვილათ იყო გადმოცემული.

დიდის ტემპერამენტით და ხმოვანების სილამაზით იყო შესრულებული დუეტი ტურრიდუსთან. მოქ. პანკრატოვას მშვენიერი პარტნიორი იყო აქ (დუეტში) მოქ. მოსინი.

გუნდები ვერ არის მტკიცე. განსაკუთრებით პირველი და მეორე სოპრანოს აქ უკლებენ.

რეჟისორმა უფრო მეტათ უნდა გააცოცხლოს სახალხო სცენები და მეტი რეალური სახე მისცეს მათ.

**მუსიკოსი.**

— **ოქტომბრის დღესასწაული.** 7 ნოემბერს ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად ყველა თეატრებში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენები მუშებისათვის და წითელარმიელებისათვის.

— **სახალხო სახლი.** 7 ნოემბერს, სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება პოტაპენკოს პიესა „ანაფორა“.

— **ახალი გაზეთი „ივერია“.** გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ახალი გაზეთი „ივერია“.

— **ყოველთვიური ჟურნალი.** 1-ლ იანვრიდან პავლე ინგოროყვას რედაქტორობით გამოვა სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალი. ჟურნალი დაბეჭდილი იქნება 200 გვერდამდის, საუკეთესო ქაღალდზე.

— **დამსახურებულ მწერალთა იუბილეები.** საქართ. მწერალთა კავშირის საბჭომ და ხელოვნების კომიტეტმა დაადგინა ახლო ხანში გაუმართოს იუბილე დამსახურებულ მწერლებს ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას და სოფრომ მგალობლიშვილს.

— **თვითმშრომელთა კლუბი.** თვითმშრომელთა კლუბში ქართული წარმოდგენების სეზონი გაიხსნება 7 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი“.

— **მსახიობ ბაბო მესხიშვილის გამგზავრება.** მსახიობი ქალი ბაბო მესხიშვილი, რომელიც რამდენიმე თვე ტფილისში იმყოფებოდა საგასტროლოთ, გაემგზავრა ხარკოვში საიდანაც, რამდენიმე წარმოდგენის გამართვის შემდეგ, დაბრუნდება მოსკოვს.

— **ჟურნალი „ჯეჯილი“.** გამოვიდა ჟურნალ „ჯეჯილი“-ს 7—8 ნომერი, ჟურნალში მოთავსებულია ხარ. ვარდოშვილის, გ. ქუჩიშვილის და მიმქრალის ლექსები, ლეო ქიაჩელის მოთხრობა და სხვა. ღირს 15 კაპ. ჩერვონეცით.

— **ავლაბრის კლუბი.** ქალ. აღმასკომმა ავლაბრის მუშათა კლუბის მომწყობ კომისიაში თავის წარმომადგენლათ დანიშნა ამხ. ასრიევი.

**დღეს თეატრებში.**

— **რუსთაველის თეატრი.** პირველად ამ სეზონში „მზის დაბნელება საქართველოში“, დადგმა კ. მარჯანიშვილისა.

— **სახელმწიფო ოპერა.** პირველად ამ სეზონში „მოცარტი და სალიერი“ რაპოპორტის რეჟისორობით.

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა „მასხარა ტანტრისტი“.

— **ნაძალადევის თეატრი.** „მგლის კბილები“.

# პროვინციაში

### სწავლა-განათლების საქმე რაჭაში

რაჭის სასწავლებლები დღეს გულსაკლავ სურათს წარმოადგენენ. იქ აწყდება სოფლის აუარებელი ბავშვები. სკოლები ბავშვებს ვერ იტევენ. არ არის საკმაო რიცხვი მასწავლებლებისა. გლეხი იძულებული ხდება თავისი შვილი უკან წაიყვანოს. ეს ხდება პირველ დაწყებით სასწავლებელში. მაგრამ აილეთ თვით სამაზრო ცენტრი ონი. აქ არსებობდა ერთი ტეხნიკუმი და ამ ტეხნიკუმშიც სწავლა არ არის დაწყებული უკვე ოქტომბრის დასასრულსაც კი. ტეხნიკუმის მოწაფეები, რომელთაც შეძლება ჰქონდათ, წავიდნენ სხვა ქალაქებში, მაგრამ ასეთი შეძლებულები ძლიერ ცოტა აღმოჩნდენ, რადგან თუ შეიძლება ასე ითქვას, რაჭა სიღარიბის ქვეყანაა.

საჭიროა განათლების კომისარიატმა სათანადო ყურადღება მიაქციოს რაჭას და აღმოუჩინოს მას დახმარება თავის დროზედ მასწავლებლების გამოგზავნით და სხვა მხრივაც.

**კლდე.**

### შუხუთის თემი (გურია)

ეს თემი დიდ გაჭირვებას განიცდის სასკოლო შენობის უქონლობის გამო. არ არის საკმაო სასკოლო შენობა. მოწაფეთა რიცხვი კი მრავალია. ოცის წლის წინად ამ სოფლის გლეხობამ დაიწყო ვეებერთელა სასკოლო ქვის შენობა, მაგრამ უსახსრობის გამო მისი დასრულება ვერ შესძლეს.

არც მეფის, არც მენშევიკურმა მთავრობამ არ გაუწია ამ სოფლის მკვიდრთ დახმარება, რომ ეს შენობა დამთავრებულიყო და აუარებელი შრომა თითქმის იღუპებოდა, და ნახევრად ჩამონგრეული ქვის კედლები საბრალისს სანახაობას წარმოადგენდნენ.

საქართველოს გასაბჭოების პირველ წელშივე ადგილობრივი ამხანაგების მიერ ეს საკითხი ისევ იქნა წამოყენებული. მათი ინიციატივობით, ადგილობრივი გლეხობის თავგამოდებით და ნაწილობრივ ცენტრალური მთავრობის დახმარებით, ქვის და აგურის ორ სართულიანი შენობა დამთავრებული და გადახურული იქნა. ეხლა საჭიროა მისი მოწყობა ხეტყის მასალით, რაც მოითხოვს დიდს თანხას, რის მოგროვება არ ძალუძთ ადგილობრივ გლეხობას თავიანთ შორის. საქმე კი დაყოვნებას არ ითმენს. მოწაფეები სრულიად უვარგის ნაქირავებ სახლებშია მოთავსებული. ზამთარი დგება. მოწაფეები სიცივისაგან დაიხოცებიან. საჭიროა სასწრაფო დახმარება, რომ შენობა დამთავრდეს და ბავშვები გადიყვანილ იქნან. ადგილობრივმა ამხანაგებმა მიმართეს დახმარებისათვის სათანადო ფურცლებით ქალაქებში მომუშავე ამხანაგებს, დარწმუნებული ვართ, რომ ამხანაგებიც არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს, რითაც გაუადვილებენ ადგილობრივ გლეხობას ამ შენობის დამთავრებას.

ამ სოფელში არის მშვენიერი წიგნთ-საცავ-სამკითხველო, მაგრამ, სამწუხაროდ, გურიის კულტგანყოფილება ვერ აქცევს მას ჯეროვან ყურადღებას ამ რამოდენიმე თვის წინად სამკითხველოს შენობა თითქმის ცარიელი იყო. არც ერთი ჟურნალ-გაზეთი, არც ერთი სურათი ჩვენი ბელადი მასწავლებლების არ მოიპოვებოდა. ქალაქებში მომუშავე ადგილობრივი ამხანაგებისაგან სამკითხველოს სასარგებლოთ შემოწირულებების შეგროვებით, ჟურნალ-გაზეთების გამოწერით და ბელად მასწავლებლების სურათების შეძენით სამკითხველოს მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა, მაგრამ დღესაც ვერ არის ის დამაკმაყოფილებელ პირობებში.

საჭიროა სისტემატიური დახმარების გაწევა სამკითხველოსთვის.

**ა. ბ.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 69

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა**

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წ. აგვისტოს 23 ს თარიღითა და 51 №-ით გამოქვეყნებული დადგენილების მე-2 მუხლის შეფარდების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ 51 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის განსავითარებლად და განსამარტავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს: საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის დეკემბრის 22 თარიღის და 16 ნომრის დეკრეტი საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლების შესახებ და 1923 წლის მაისის 2 თარიღის და 91 ნომრის დადგენილება—ლიკვიდაციაქმნილი ბანკების მიერ ძველი ვექსილებითა და სხვა ვალდებულებით გაცემულ სესხის გადახდევინების შესახებ ყველა შემდგომი ცვლილებითა და დამატებით,—დარჩეს ძალაში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

1923 წ. ოქტომბრის 31.

ტფილისი—სასახლე

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3-მე რაიკომი იტყობინება, რომ ა. წ. 6 ნოემბერს, დილის 11 საათზე, რაიკომის ქალთა განყოფილება ამხ. ნარიმანოვის სახელობის მუსლიმანთა კლუბში იწვევს აღმოსავლეთის ქალების მე-2-რე მორიგ საქალაქო კონფერენციას.

იმავე დღეს კონფერენციის მონაწილეთათვის მუსლიმან ქალთა კლუბში საღამოს 6 საათზე შესდგება მოგონებათა საღამო.

მოგონებათა საღამოზე მოწვეულნი არიან სათანადო პარტიული ორგანიზაციები.

მდივანი ვართაპეტიანი.

განყოფილების გამგე ესაიანი.

# განცხადებები

დღეს, 6 ნოემბერს, პირველად:

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

1. მოცარტი და სალიერი
ოპერა 2 მოქ. მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა, დადგმა მთავარ რეჟისორის ვ. რაპოპორტის.
2. ესპანური კაპრიჩიო
ხორეოგრაფიული კომპოზიცია, მუს. რიმსკი-კორსაკოვისა.
3. ღამე „ლისიი“ მთაზე
სახუმარო მოქმედება, მუსიკა მუსორგსკისა, დადგმა მთავარ ბალეტმეისტერის მ. დისკოვსკისა.

დასაწყისი ზუსტად 8 საათზე.

730—1—1

ადგილების ფასები 1,300,000 მანეთიდან. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 11—3-მდე და 6—11-მდე.

სახ. აკად. ოპერის დირექცია.

შრომის სახალხო კომისარიატთან
არსებული კომისია
ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოდ, რომ
ფირმა „სოსიფროსის“ ფირმა
ქ. ბათომის და ტფილისის მოსამსახურეთა ჯამაგირით დასაკმაყოფილებლად დანიშნულია
საჯარო ვაჭრობით გასაყიდად
ფირმა „სოსიფროსის“ კუთვნილი და ტფილისის საბაჟოს საწყობებში დაწყობილი შემდეგი საგნები:

| | | |
|---|---|---|
| 1. ელექტრონის ლამპები 110, 120, 229 ვ რიცხვით | 21.910 | ცალი |
| 2. გრუზოშინები: 34-5 | 12 | „ |
| „ „ 38-5 | 14 | „ |
| 3. მაფი | 12.000 | კოჭი |
| 4. ფოლადი ინსტრუმენტებისათვის | 750 | ფუთი |

ყველა დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომლებიც მოისურვებენ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, უნდა გამოცხადდენ მიმდინარე წლის 8 ნოემბერს, დღის 12 საათზე ტფ. საბაჟოს ეზოში.
(კრ. 723 3—3) კომისია

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის
გ. დ. ხანცინის
მედიცინის ექიმის ვ. ვ. შენგელიძის
მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან—4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ № 18—14. (46—25—17)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
სხივებით რენტგენი დიათერმია
მიხეილ ზედევანიშვილის ხელმძღვანელობით
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვ.
ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (1262—25—25)

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა
ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
78 25—1

ტფ. მე-8 უბნის სახალხო სასამართლო დღეიდან აქია გამოცხად იწვევს როგორც მოპასუხეს ორი თვის განმავლობაში ივანე ოსეპა ინდუევს და მიხეილ ოსეპას ძე ბიბილურს გიორგი ა რას ძე ლაზარ ძიების გამო, რის შემდეგ უწყება ჩათვლილი იქნება ჩაბარებულათ და ს იქნება გარჩეული მოპასუხის თანადაუსწრებლათ.
სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა).
მდივანი (ხელის მოწერა).
114—1—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი ბესურაშვილის სახელ № 938 მშენებელთა კავშირისა. ჩაითვალოს გა ბულად. 115—1

დაიკარგა ნასყიდობის ქაღალდი № 212 5 მარტ. 192 გიორგი და ვანო გაბრიელის ძე მაჭარაშვილ 113—

დაიკარგა პასპორტი № 2764, გაცემული მერვე კომისარ მიერ ალექსანდრე ივანეს ძე ნატრაშვილის სახ ჩაითვალოს გაუქ ეაულად. 112—

დაიკარგა სპირიდონ ანტონის ძე ჯაჭაძემ პორტმანი, მელშიაც იყო შრომის განყოფილების მოწმობა ჯ ნმრთელობის შესახებ, ასეთივე მოწმობა და პირადობის მოწმობა გოულის თემაღმასკომიდან და სხვა ქაღალდები. ჩაითვალოს გაუქმებ 111—

დაიკარგა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების მო მოცემული ქ. ტფილისის სამხედრო კომისარ საგან 1923 წლ. ივანე გაბრიელის ძე რამიშვილის სახელზედ. ჩაით გაუქმებულად. 110 1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა № 4.